საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახური

საქმიანობის ანგარიში 2025





100 წელი
ბანლოო ბონაკეიბბი ცნობრი გკლოანწყეიტილებბინთეიბ!

შინაარსი

თავი I 3
კანონმდებლობა

თავი II 19
ორგანიზაციული სტრუქტურა და
საშტატო განრიგი

თავი III 25
2025 წლის ბიუჯეტი

თავი IV 35
2025 წელს განხორციელებული
ცვლილებები

თავი V 87
საერთაშორისო თანამშრომლობა

თავი VI 99
გეგმები 2026 წლისთვის

ნებისმიერი მონაცემები ნებისმიერი გადაწყვეტილებებისთვის!

კანონმდებლობა

თავი I

სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონისა (შემდგომში - კანონი) და მის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 27 სექტემბრის №375 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების“ შესაბამისად. სამსახური თავის საქმიანობაში ასევე ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ასევე სხვა ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებით.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკური სისტემის მაკოორდინირებელ უწყებას. კანონის თანახმად, ის უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესახებ, ახორციელებს სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და საერთაშორისო მეთოდოლოგიების დანერგვას.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ევალება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და საქსტატის საბჭოს მიერ მისი განხილვის შემდეგ საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა მოიცავს წლის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალს და შემსრულებლებს, გამოკვლევის პერიოდულობისა და გამოქვეყნების თარიღის მითითებით. სტატისტიკური სამუშაოების 2025 წლის პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 დეკემბრის №1861 განკარგულებით.

საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის წარმოება ეფუძნება გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს

მნიშვნელოვნობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა – ოფიციალური სტატისტიკა არის დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს, ეკონომიკურ სუბიექტებსა და საზოგადოებას ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფს. ამ მიზნით და მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლები მიუკერძოებლად ამზადებენ და ავრცელებენ პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატისტიკურ მონაცემებს.

პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა – ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შესანარჩუნებლად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ მხოლოდ პროფესიული მოსაზრებების შესაბამისად, მეცნიერული პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით.

ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა – სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის ხელშეწყობისათვის, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა ინფორმაცია უნდა წარადგინონ სტატისტიკურ წყაროებთან, მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული მეცნიერული სტანდარტების შესაბამისად.

სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება – სტატისტიკური მონაცემების მცდარი ინტერპრეტაციის ან არასწორად გამოყენების შემთხვევაში, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს აქვთ მათი განმარტების უფლება.

სტატისტიკური წყაროს არსებობა – სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემები შეიძლება შეგროვდეს ყველა სახის წყაროდან – სტატისტიკური გამოკვლევებიდან ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციიდან. სტატისტიკის მწარმოებელმა სტატისტიკური წყარო უნდა შეარჩიოს ხარისხის, დროულობის, დანახარჯებისა და რესპონდენტის დატვირთვის გათვალისწინებით.

კონფიდენციალურობა – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლების მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების დამახასიათებელი მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და გამოიყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის.

საკანონმდებლო ბაზის საჯაროობა – კანონმდებლობა, ნორმები და ზომები, რომელთა ფარგლებშიც ფუნქციონირებს ოფიციალური სტატისტიკის სისტემა, საჯაროა.

ეროვნული კოორდინაცია – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს შორის კოორდინაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის მდგრადობისა და ეფექტიანობის მისაღწევად.

საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ საერთაშორისო ცნებების, კლასიფიკაციებისა და მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების შეთანხმებულობასა და ეფექტიანობას.

საერთაშორისო თანამშრომლობა – ოფიციალური სტატისტიკის სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების გაუმჯობესებას.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის კონფიდენციალური ინფორმაცია ან/და პერსონალური მონაცემების შემცვლელი ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საქსტატის საბჭო და საქსტატის მრჩეველთა საბჭო

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს საქსტატის საბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს არსებობას, ასევე, ოფიციალური სტატისტიკის სფეროში სტრატეგიული და მეთოდოლოგიური საქმიანობის მხარდასაჭერად, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი უფლებამოსილია შექმნას სხვა საკონსულტაციო ორგანო.



საქსტატის საბჭო

საბჭო შედგება 9 წევრისგან. მათგან ერთ-ერთი არის საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც იმავდროულად საბჭოს თავმჯდომარეა. საბჭოს სამი წევრი - საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი 5 წევრი არ უნდა იყოს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირი. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საბჭოს საქმიანობის წესი და პირობები განსაზღვრულია საქსტატის საბჭოს 2023 წლის 3 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულებით“.

საქსტატის საბჭოს ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
2. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
3. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შესრულების მიმდინარეობის პერიოდული მიმოხილვა;
4. საქსტატის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
5. აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
6. საქსტატის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის პროექტის განხილვა და დამტკიცება;
7. საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

8. საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;
9. საქსტატის მიერ შემუშავებული ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი სხვა ორგანოების განსაზღვრის კრიტერიუმებისა და მათი აღიარების წესის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
10. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქსტატის მიერ სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლების გარეთ სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით მომსახურების სახეობისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცება;
11. საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქსტატის მიერ ბეჭდური სტატისტიკური პუბლიკაციების მიწოდების წესისა და პირობების დამტკიცება;
12. კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცება;
13. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

საბჭო უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს ნორმატიული აქტი (დადგენილება) ამ კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

საქსტატის საბჭოს შემადგენლობა

გოგიტა თოდრაძე

დაბადების თარიღი:

1980 წლის 13 ივლისი

2018 წლის მაისიდან საქსტატის საბჭოს თავმჯდომარე.

2018 წლის მაისიდან საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი.

2002 წლიდან მუშაობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე, 2010-2016 წლებში იყო ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს უფროსი, ხოლო 2016 - 2018 წლებში აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე. 2017 წლის ნოემბრიდან არის გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ბიზნეს სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის წევრი. 2019-2023 წლებში იყო გაეროს სტატისტიკის კომისიის (UNSC) წევრი, ხოლო 2020-2022 წლებში აირჩიეს გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (UNESCAP) სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარედ.

2025 წლის ივნისიდან არის UNECE-ის ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის (CES) ბიუროს წევრი და ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 2025 წლის სექტემბერში აირჩიეს საერთაშორისო სტატისტიკის ინსტიტუტის (ISI) წევრად.

გოგიტა თოდრაძეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკის (სტატისტიკის), ასევე სამართალმცოდნეობის მიმართულებით. 2006 წლიდან ფლობს ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხს.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

ვახტანგ ცინცაძე

დაბადების თარიღი:

1986 წლის 28 იანვარი

2021 წლის ნოემბრიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

ვახტანგ ცინცაძეს აქვს როგორც კერძო სექტორში ასევე სახელმწიფო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. 2009 წლამდე იგი მუშაობდა საფინანსო სექტორში, ხოლო 2009-2022 წლებში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სხვადასხვა პოზიციებზე, 2022 წლიდან ვახტანგ ცინცაძე იკავებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის თანამდებობას. ვახტანგ ცინცაძე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის მაგისტრი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის დოქტორანტი. წარმატებით აქვს გავლილი ჯორჯ მარშალის ცენტრის „Leaders Program in Advanced Security Studies“ პროგრამა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) არაერთი ეკონომიკური კურსი. იგი აქტიურად მონაწილეობდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური შინაარსის რეფორმების შემუშავების პროცესში, მათშორის: საპენსიო რეფორმის (მეორე სვეტი) კონცეფციის შემუშავება და რეფორმის ეკონომიკური ეფექტების შეფასება/ანალიზი; საჯარო და კერძო თანამშრომლობის კონცეფციის და ჩარჩო კანონმდებლობის შემუშავება; გადახდისუუნარობის რეფორმის ფარგლებში ჩარჩო კანონმდებლობის შემუშავება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მექანიზმების განვითარება - საკრედიტო საგარანტიო სქემის დიზაინის შემუშავება; ალტერნატიული დაფინანსების მექანიზმების განვითარება - ლიზინგის განვითარების კონცეფციის და ფაქტორინგის კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობა და სხვა.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ეკატერინე მიქაბაძე

დაბადების თარიღი:

1974 წლის 6 მაისი

2024 წლის თებერვლიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2023 წლის 30 ნოემბრიდან - ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

2021 წლის ივლისიდან - 2028 წლის ივლისამდე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

1995-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2008-2011 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის სამმართველოს, ხოლო 2011-2016 წლებში მონეტარული პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი. 2016-2018 წლებში ასრულებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას. 2018 - 2021 წლებში იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე.

ეკატერინე მიქაბაძეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკური მეცნიერებათა, ასევე ინფორმატიკისა და მართვის სისტემების მიმართულებით. 2008 წლიდან ფლობს ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ფრიდონ ასლანიკაშვილი

დაბადების თარიღი:

1964 წლის 7 ივლისი

2011 წლიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

1997 წლიდან მუშაობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე, 2017 წლის 1 აპრილიდან არის მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. 2012 – 2017 წლებში იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის (GFSM 2014) მრჩეველთა საბჭოს წევრი. არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის ავტორი. არის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

ფრიდონ ასლანიკაშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება და მუდმივად ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

სიმონ გელაშვილი

დაბადების თარიღი:

1954 წლის 15 ნოემბერი

2018 წლის ივლისიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2006 წლის ივლისიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი.

1978-1996 წლებში მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი) სხვადასხვა თანამდებობაზე (ეკონომისტის, სამმართველოს უფროსისა და თავმჯდომარის ეკონომიკური მრჩეველის პოზიციებზე). 1999–2001 წლებში იყო საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სამეცნიერო-ინფორმაციული ცენტრის დირექტორი; 2000 წლის იანვრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის პროფესორია. 2001-2005 წლებში იყო საქართველოს სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; 2005-2012 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

სიმონ გელაშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე სტატისტიკის სპეციალობით, ასპირანტურა და დოქტორანტურა - ასევე თსუ-ში და მოსკოვის საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტსა და პოტსდამის უნივერსიტეტში (გერმანია). 1988 წელს მოიპოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1999 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და ივანე ჯავახიშვილის მედლით.

ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

გიორგი ეზუგბაია

დაბადების თარიღი:

1985 წლის 8 მარტი

2023 წლის მაისიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2019 წლის თებერვლიდან არის „აქტო ჯგუფის“ გენერალური დირექტორი.

2006 წლიდან აქვს სამუშაო გამოცდილება სხვადასხვა პოზიციებზე კერძო და სახელმწიფო სექტორებში. აგრეთვე, 2011 წელს მიღებული აქვს სამუშაო გამოცდილება საზღვარგარეთ. ამჯამად, არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.

გიორგი ეზუგბაიას მიღებული აქვს უმაღლესი განათლება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

მარინე (მაია) მინდორაშვილი

დაბადების თარიღი:

1960 წლის 27 ივნისი

2018 წლის ივლისიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

1986 წლიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1988-1993 წლებში იყო სტატისტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, 1996-2006 წლებში ამავე კათედრის დოცენტი, ხოლო 2006 წლიდან ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორია. 2005-2009 წლებში მუშაობდა საქსტატში მეთოდოლოგიის, კოორდინაციისა და სტანდარტების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო 2009-2010 წლებში - აღმასრულებელი დირექტორის აპარატში მრჩეველის თანამდებობაზე. 2016-2018 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრია.

მარინე მინდორაშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკის (სტატისტიკის) მიმართულებით. 1988 წელს მიენიჭა ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ოთარ ანგურიძე

დაბადების თარიღი:

1985 წლის 23 დეკემბერი

2023 წლის მაისიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2015 წლის თებერვლიდან არის თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე.

2005 წლიდან აქვს სამუშაო გამოცდილება სხვადასხვა პოზიციებზე არასამთავრობო, კერძო და სახელმწიფო სამსახურში. აქვს მონაწილეობა მიღებული მრავალ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და ფორუმებში. ფლობს მრავალწლიან ჟურნალისტურ გამოცდილებას. 2016 წელს გაიარა სტაჟირება ესტონეთის ტარტუს უნივერსიტეტში. ამჯამად, არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.

ოთარ ანგურიძეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

საქსტატის მრჩეველთა საბჭო

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე ითვალისწინებს საქსტატის საკონსულტაციო ორგანოს - საქსტატის მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებას, რომლის წევრებსაც (არანაკლებ 9), საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღმასრულებელი დირექტორი, ხოლო წევრობის კანდიდატების შერჩევა ხორციელდება სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, მათემატიკის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტთა (პრაქტიკული ან მეცნიერული საქმიანობის გამოცდილების მქონე) შორის. დღეის მდგომარეობით, მოქმედი მრჩეველთა საბჭო შედგება 14 წევრისაგან.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა და კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების წარდგენა;
2. სტატისტიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის მეცნიერული ანალიზი და საქსტატის აღმასრულებელი დირექტორისთვის წინადადებების მომზადება;
3. სტატისტიკური საქმიანობის თანამედროვე მეთოდების განხილვა, სტატისტიკური მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებით საქსტატის აღმასრულებელი დირექტორისათვის კონსულტაციის გაწევა ან/და წინადადებების წარდგენა.

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან

გოგიტა თოდრაძე
დაბადების თარიღი:
1980 წლის 13 ივლისი

2018 წლის მაისიდან საქსტატის
აღმასრულებელი დირექტორი,
საბჭოს თავმჯდომარე

დავით ნარმანია
დაბადების თარიღი:
1979 წლის 7 მარტი

თსუ-ს პროფესორი, მენეჯმენტის და
ადმინისტრირების კათედრის გამგე,
სემეკის თავმჯდომარე

ზაზა ბროლაძე
დაბადების თარიღი:
1974 წლის 2 აპრილი

2017 წლიდან პოლიტიკისა და
მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG)
გამგეობის წევრი

ზაზა ჭელიძე
დაბადების თარიღი:
1972 წლის 9 აპრილი

2015 წლიდან გაეროს სურსათის და
სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)
კონსულტანტი სტატისტიკის მიმართულებით

თამარ საბედაშვილი
დაბადების თარიღი:
1978 წლის 18 იანვარი

2018 წლის ივლისიდან გაეროს
ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
წარმომადგენლის მოადგილე

ნინო აბესაძე
დაბადების თარიღი:
1965 წლის 24 თებერვალი

2006 წლის სექტემბრიდან ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური
სტატისტიკის კათედრის ასოცირებული
პროფესორი

დემნა ძირკვაძე
დაბადების თარიღი:
1982 წლის 21 თებერვალი

2015 წლის ნოემბრიდან აშშ-ის
სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის
(სამინისტროს) წარმომადგენელი
საქართველოში

ლევან ვეფხვაძე

დაბადების თარიღი:
1974 წლის 4 ოქტომბერი

2019 წლიდან საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

თამარ სულუხია

დაბადების თარიღი:
1968 წლის 1 იანვარი

2019 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლისა (ISET) და ISET კვლევითი ინსტიტუტის (ISET-PI) დირექტორი

მერი დაუშვილი

დაბადების თარიღი:
1975 წლის 19 თებერვალი

2019 წლის აპრილიდან მუშაობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში

იოსებ ბერიკაშვილი

დაბადების თარიღი:
1985 წლის 20 სექტემბერი

2024 წლის სექტემბრიდან საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ილიას უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

გიორგი მუხიგულიშვილი

დაბადების თარიღი:
1987 წლის 2 თებერვალი

მკვლევარი ენერგეტიკისა და კლიმატის საკითხებში

აკაკი საღირაშვილი

დაბადების თარიღი:
1980 წლის 10 ივნისი

2022 წლის მარტიდან საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

მარიამ ბანძელაძე

2024 წლის მარტიდან გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი

ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი

თავი II

საქსტატის საშტატო განრიგი

აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე. საქსტატის სტრუქტურაში შედის 11 დეპარტამენტი (ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტი, ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი, ფასების სტატისტიკის დეპარტამენტი, სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტი, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი, სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტი, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი) და 11 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სტატისტიკის ბიურო, აჭარის სტატისტიკის ბიურო, სამცხე-ჯავახეთის სტატისტიკის ბიურო, შიდა ქართლის სტატისტიკის ბიურო, ქვემო ქართლის სტატისტიკის ბიურო, სამეგრელო-ზემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო, იმერეთის სტატისტიკის ბიურო, კახეთის სტატისტიკის ბიურო, მცხეთა-მთიანეთის სტატისტიკის ბიურო, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო და გურიის სტატისტიკის ბიურო **(იხილეთ დანართი 1)**.

საქსტატის საშტატო ნუსხა დამტკიცებულია საქსტატის საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის № ო-3 დადგენილებით.

საქსტატის სტრუქტურა



2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საშტატო ნუსხა წარმოდგენილია **დანართი 2**-ის სახით.

საქსტატში საშუალო ხელფასი 2025 წელს	**2 867 ₾**

ჩვენი გუნდი

გოგიტა თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

პაატა შავიშვილი

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

ირაკლი აფხაიძე

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

ლაშა ჯინჯიხაძე

სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი

მარიამ ყაველაშვილი

საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი

ვასილ წაქაძე

სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი სანაძე

სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი თეთრაული

ფასების სტატისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

ალექსანდრე არაბული

მოსახლეობის აღწერისა და
დემოგრაფიული სტატისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

არჩილ ხვედელიძე

შიდა აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

მაკა კალანდარიშვილი

ეროვნული ანგარიშების
დეპარტამენტის უფროსი

ბადრი კვაჭაძე

საგარეო ვაჭრობისა და უცხოური
ინვესტიციების სტატისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

ალექსანდრე ამბოკაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიების
დეპარტამენტის უფროსი

დავით ჟორჟოლიანი

ბიზნეს სტატისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

შტატგარეშე თანამშრომლები

ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თავისებურებებიდან და სტატისტიკური გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საქსტატში დასაქმებულია შტატგარეშე თანამშრომელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ახორციელებს სხვადასხვა სახის სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა შეგროვებას (საველე სამუშაოებს) და დამუშავებას.

სხვადასხვა სტატისტიკური გამოკვლევისა და სხვა პარალელური ფუნქციების განხორციელების მიზნით, 2025 წლის განმავლობაში, დაქირავებულ შტატგარეშე თანამშრომელთა რიცხოვნობა იცვლებოდა კვარტალების მიხედვით, ჩატარებული გამოკვლევებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის საველე პერსონალი (11 500-მდე ადამიანი) დაქირავებული იყო 2025 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდამდე, 2025 წლის განმავლობაში შტატგარეშე თანამშრომელთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 12 250 ერთეულით (მ.შ. საქართველოს 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ფარგლებში დაახლოებით 11 500 ერთეულით).

აღნიშნული რაოდენობის შტატგარეშე თანამშრომელთა აყვანა განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №179 განკარგულების საფუძველზე.

კადრების შერჩევა

2025 წელს, საქსტატში ადგილი ჰქონდა როგორც კადრების გადინებას, ისე მიღებას. საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევა ხორციელდებოდა ღია კონკურსის საფუძველზე. წლის განმავლობაში საქსტატში გამოცხადებული იყო ღია კონკურსი შტატით გათვალისწინებულ 13 ვაკანტურ თანამდებობაზე. ვაკანტურ თანამდებობებზე განაცხადი შემოიტანა სულ 598 კანდიდატმა. კონკურსის ბოლო ეტაპზე (გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან) მოწვეულ იქნა 126 კანდიდატი. 2025 წელს ღია კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 12 კანდიდატი.

საქსტატის 2025 წლის ბიუჯეტი

თავი III

საქსტატის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს:

სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენდა 28 000 000 ლარს, გრანტის სახით მისაღები მიზნობრივი ფინანსური დახმარების გეგმა - 200 196 ლარს, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა - 200 000 ლარს.

2025 წლის საქსტატის შემოსავლების გეგმამ სულ შეადგინა 28 400 196 ლარი.

2025 წლის საქსტატის საკასო ხარჯების მოცულობამ შეადგინა 27 876 491 ლარი, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები - 27 256 861 ლარი, მიზნობრივი ფინანსური დახმარება (გრანტები) – 192 916 ლარი, საკუთარი სახსრების საკასო ხარჯი - 426 714 ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- **შრომის ანაზღაურება** – 7 660 606 ლარი, (მ.შ. თანამდებობრივი სარგო - 6 536 879 ლარი, ჯილდო/პრემია - 657 526 ლარი, დანამატი 466 201 ლარი);
- **საქონელი და მომსახურება** – 19 722 073 ლარი, მათ შორის:

  შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 18 133 255 ლარი, (მ.შ. თანამდებობრივი სარგო - 17 927 957 ლარი, ჯილდო/პრემია - 205 298 ლარი);

  მივლინება - 120 839 ლარი;

  ოფისის ხარჯი - 670 887 ლარი;

  წარმომადგენლობითი ხარჯი - 146 651 ლარი;

  სამედიცინო ხარჯი - 500 ლარი;

  რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 6 730 ლარი;

  ტრანსპორტის ექსპლუატაცია - 146 724 ლარი;

  სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 496 487 ლარი;
- **გრანტები - 12 434 ლარი;**
- **სოციალური უზრუნველყოფა - 230 332 ლარი;**
- **სხვა ხარჯები - 96 301 ლარი;**
- **არაფინანსური აქტივების ზრდა - 154 745 ლარი.**

საანგარიშო წლის განმავლობაში, „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, განხორციელდა დასაშვები ცვლილებები (გადანაწილება) საქსტატის ასიგნებებში.

ზემოთ აღნიშნულის შედეგად, საქსტატის 2025 წლის დაზუსტებული გეგმა-ხარჯი დაფინანსების წყაროების მიხედვით ჩამოყალიბდა ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის სახით:

საქსტატის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულება - საბიუჯეტო ასიგნებები (ლარი)

ორგანი-ზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის დამტკიცებული გეგმა	ცვლილება	2025 წლის დაზუსტებული გეგმა	2025 წლის საკასო შესრულება	სხვაობა (5-6)	შესრუ-ლების % (6/5*100)
1	2	3	4	5	6	7	8
47 00	**სსიპ-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)**	**28,000,000.0**	**0.0**	**28,000,000.0**	**27,256,861.5**	**743,138.5**	**97**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	213.0		213.0	213.0		
	ხარჯები	**27,900,000.0**	**-46,000.0**	**27,854,000.0**	**27,112,016.5**	**741,983.5**	**97**
	შრომის ანაზღაურება	7,817,600.0	-110,000.0	7,707,600.0	7,660,605.6	46,994.5	99
	საქონელი და მომსახურება	19,957,400.0	-83,000.0	19,874,400.0	19,191,336.5	683,063.5	97
	სოციალური უზრუნველყოფა	100,000.0	140,000.0	240,000.0	230,331.7	9,668.3	96
	სხვა ხარჯები	25,000.0	7,000.0	32,000.0	29,742.7	2,257.3	93
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**100,000.0**	**46,000.0**	**146,000.0**	**144,845.0**	**1,155.0**	**99**
47 01	**სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა**	**10,000,000.0**	**126,000.0**	**10,126,000.0**	**9,892,321.0**	**233,679.0**	**98**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	213.0		213.0	213.0		
	ხარჯები	**9,900,000.0**	**80,000.0**	**9,980,000.0**	**9,747,476.0**	**232,524.0**	**98**
	შრომის ანაზღაურება	7,817,600.0	-110,000.0	7,707,600.0	7,660,605.6	46,994.4	99
	საქონელი და მომსახურება	1,992,400.0	73,000.0	2,065,400.0	1,884,691.0	180,709.0	91
	სოციალური უზრუნველყოფა	65,000.0	110,000.0	175,000.0	172,436.7	2,563.3	99
	სხვა ხარჯები	25,000.0	7,000.0	32,000.0	29,742.7	2,257.3	93
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**100,000.0**	**46,000.0**	**146,000.0**	**144,845.0**	**1,155.0**	**99**
47 02	**სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა**	**6,500,000.0**	**-126,000.0**	**6,374,000.0**	**6,107,771.6**	**266,228.4**	**96**
	ხარჯები	**6,500,000.0**	**-126,000.0**	**6,374,000.0**	**6,107,771.6**	**266,228.4**	**96**
	საქონელი და მომსახურება	6,480,000.0	-146,000.0	6,334,000.0	6,073,972.7	260,027.3	96
	სოციალური უზრუნველყოფა	20,000.0	20,000.0	40,000.0	33,798.9	6,201.1	84
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0**
47 03	**მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა**	**11,500,000.0**	**0.0**	**11,500,000.0**	**11,256,768.9**	**243,231.1**	**98**
	ხარჯები	**11,500,000.0**	**0.0**	**11,500,000.0**	**11,256,768.9**	**243,231.1**	**98**
	საქონელი და მომსახურება	11,485,000.0	-10,000.0	11,475,000.0	11,232,672.8	242,327.2	98
	სოციალური უზრუნველყოფა	15,000.0	10,000.0	25,000.0	24,096.1	903.9	96
	არაფინანსური აქტივების ზრდა	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0**

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4701

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 10 000 000 ლარს, დაზუსტებული - 10 126 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა - 9 892 321 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98%-ია.

ეკონომიამ შეადგინა - 233 679 ლარი. აღნიშნული ეკონომია გამოიწვია საშტატო ნუსხაში არსებული ვაკანტური პოზიციების გამო შრომის ანაზღაურების მუხლის აუთვისებლობამ და სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების შედეგად მიღწეული ფასების კლებამ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შესაბამისი სტატისტიკური გამოკვლევების სამუშაოების დაგეგმვა, მართვა, წარმოება და მონაცემთა გავრცელება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4702

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 6 500 000 ლარს, დაზუსტებული - 6 374 000 ლარს. შესრულებამ შეადგინა 6 107 772 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 96%-ს შეადგენს.

ეკონომიამ შეადგინა - 266 228 ლარი, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გამოკვლევების მიმდინარეობისას რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი (განსაკუთრებით შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში, სამუშაო ძალის გამოკვლევაში და სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევაში) უარს აცხადებდა გამოკვლევაში მონაწილეობაზე. შესაბამისად, აღნიშნული გარემოების გამო ვერ ხდებოდა გარკვეული მოცულობის თანხების ათვისება, რადგანაც ინტერვიუერთა შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია ერთეულ სრულ (გამოპასუხებულ) ინტერვიუზე.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების 2025 წლის პროგრამით გათვალისწინებული სტატისტიკური გამოკვლევების მომზადება, ჩატარება, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნება.

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (საბიუჯეტო ასიგნებები) 4703

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 11 500 000 ლარს, დაზუსტებული - 11 500 000 ლარს. შესრულებამ შეადგინა 11 256 769 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98%-ს შეადგენს.

ეკონომიამ შეადგინა - 243 231 ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია შესყიდვების პროცესში წარმოქმნილი ეკონომიებისა და ვაკანტური პოზიციების არსებობის შედეგად.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის წინასწარი მონაცემების დამუშავება და გავრცელება რეგიონების, თვითმმართველი ერთეულების, სქესის და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით.

საქსტატის მიერ 2025 წელს მიღებული მიზნობრივი დაფინანსება (გრანტები) და ტექნიკური დახმარება



დონორ ორგანიზაციებთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, 2025 წელს მიმდინარეობდა 3 პროექტი.

გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით, საკასო შემოსავალმა 2025 წელს შეადგინა 164 062 ლარი, ხოლო 33 746 ლარი არის 2024 წლის გარდამავალი ნაშთი.

გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების საკასო ხარჯები შეადგენს 192 916 ლარს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- **საქონელი და მომსახურება – 180 482 ლარი, მათ შორის:**

  შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 127 686 ლარი;

  მივლინების ხარჯი - 3 628 ლარი;

  ოფისის ხარჯი - 1 963 ლარი;

  სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 47 205 ლარი;

- **გრანტები - 12 434 ლარი.**

გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება გამოყოფილი იყო შემდეგი მიზნებისთვის:

აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანს წარმოადგენდა საქსტატის მიერ „სამუშაოსთან დაკავშირებული უნარების შესახებ გამოკვლევის“ განხორციელება, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და მონაცემების გამოქვეყნება.

საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობის (UN Women) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანს წარმოადგენდა ქალისა და კაცის სტატისტიკის პორტალის განახლება, სტატისტიკურ პუბლიკაციის „ქალი და კაცი საქართველოში“ და დროის გამოყენების გამოკვლევის მონაცემთა ბაზის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადება, სამუშაო შეხვედრების ჩატარება ქალისა და კაცის შესახებ სტატისტიკის სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებისთვის. რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალის განვითარება ქალისა და კაცის სტატისტიკის მიმართულებით. ხელფასების სტრუქტურის პილოტური გამოკვლევის და დედობის, მამობის და მშობლობის შვებულებით სარგებლობის გამოკვლევის ჩატარება, ასევე დამატებით ქალისა და კაცის შესახებ სტატისტიკის მაჩვენებლების წარმოება.

საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობის (UN Women) მიერ მეორე გამოყოფილი გრანტის მიზანს წარმოადგენდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში (WEESC) და ხელფასების სტრუქტურის სრულმასშტაბიანი გამოკვლევის განხორციელება საქართველოში, განხორციელება, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და მონაცემების გამოქვეყნება.

საქსტატის 2025 წელს მოქმედი საგრანტო ხელშეკრულებების რეესტრი

ფულადი სახით მიღებული					
№	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელ-შეკრულების ვადა	საგრანტო ხელ-შეკრულების ღირებულება	2025 წელს მი-ღებული გრა-ნტის ოდენობა ხარჯთაღრი-ცხვით (ლარი)
1	გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში (UN Women)	„გენდერული სტატისტიკის წარმოების და გამოყენების გაუმჯობესება“	№3015, 15.03.2024წ	12.03.2024-31.12.2025	101 881.93 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
2	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	„სამუშაოსთან დაკავშირებული უნარების შესახებ გამოკვლევა“	№2896, 27.10.2023წ	24.10.2023-30.09.2025	120 000.00 აშშ დოლარი
3	გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში (UN Women)	„ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში (WEESC) და ხელფასების სტრუქტურის სრულმასშტაბიანი გამოკვლევის განხორციელება საქართველოში“	№3276, 02.10.2025წ	30.09.2025-31.03.2026	94 950.00 ლარი

საქსტატის მიერ 2025 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქსტატს უფლება აქვს მიიღოს შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებიდან.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გარდამავალი ნაშთი შეადგენდა 244 079 ლარს.

2025 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინა 465 149 ლარი, მათ შორის:

ა) 87 143 ლარი მიღებულია სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის ფარგლებს გარეთ სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასურის სახით.

2025 წლის განმავლობაში შემოსული წერილებიდან ფასიანი ინფორმაციის მოთხოვნამ შეადგინა 460 ერთეული. მიწოდებიდან შემოსული თანხა (87 143 ლარი) დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა - 72 041 ლარი (მიღებული თანხის 82.7%);
- ბიზნეს სტატისტიკა - 12 677 ლარი (14.5%);
- ფასების სტატისტიკა - 2 283 ლარი (2.6%);
- ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა - 84 ლარი (0.1%);
- სოციალური სტატისტიკა - 58 ლარი (0.1%);

ბ) 377 791 ლარი მიღებულია სხვადასხვა დამკვეთისთვის ჩატარებული სტატისტიკური გამოკვლევებისთვის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. 2025 წლის განმავლობაში სულ მოქმედებდა ორი ხელშეკრულება:

№	პროექტის დამკვეთი	პროექტის დასახელება	ხელშეკრულების ვადა	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)	2025 წელს მიღებული დაფინანსება (ლარი)
1	გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა (UNICEF)	„TransMonEE-ს მონაცემთა ბაზებისთვის, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა წყაროებიდან მონაცემთა შეგროვება და მიწოდება“	26.06.2025-22.08.2025	6 000	6 000
2	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	„შრომის ბაზრის საჭიროებების სტატისტიკური გამოკვლევა“	11.07.2025-31.12.2025	374 733	371 791

გ) 215 ლარი შეადგენს კურსთაშორისი სხვაობებიდან მიღებულ მოგებას.

2025 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან, საქსტატის მიერ გაწეულმა საკასო ხარჯებმა სულ შეადგინა 426 714 ლარი. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

• **საქონელი და მომსახურება - 350 255 ლარი,** მათ შორის:

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 321 077 ლარი;

ოფისის ხარჯი - 10 128 ლარი;

ტრანსპორტის ხარჯი - 12 690 ლარი;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 6 360 ლარი;

• **სხვა ხარჯები (გადასახადები) - 66 559 ლარი;**

• **არაფინანსური აქტივების ზრდა - 9 900 ლარი.**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 282 514 ლარს.

2025 წელს განხორციელებული ცვლილებები

თავი IV

2025 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებებისა და დანერგილი სიახლეების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ძირითად მიმართულებად:

- მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება
- სტატისტიკის არეალის გაფართოება
- სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება
- ახალი პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არსებული მეთოდოლოგიების პერიოდული გადასინჯვა და არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა, პირველად მონაცემთა ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, მონაცემთა შეგროვების უფრო ეფექტური, თანამედროვე სისტემების დანერგვა და ადმინისტრაციული მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება.

საქსტატი თავის საქმიანობაში დიდ ყურადღებას უთმობს მონაცემთა ხარისხის ამაღლებასა და სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების ოპტიმიზებას. ამ მიმართულებით უნდა აღინიშნოს 2023 წელს განხორციელებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის სტრატეგიული შეფასების მიერ გაცემული რეკომენდაცია - სტატისტიკური ბიზნესს პროცესის სტანდარტული მოდელის (GSBPM) დანერგვასთან დაკავშირებით.

ევროპული სტატისტიკის მეთოდოლოგიებთან და სტანდარტებთან შემდგომი დაახლოების უზრუნველყოფის მიზნით 2025 წელს საქსტატში რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა. კერძოდ:

2025 წელს გაგრძელდა მოსამზადებელი სამუშაოები სტატისტიკური ბიზნეს პროცესების სტანდარტული მოდელის (GSBPM) შესაბამისად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების მოდერნიზაციისთვის. ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის პროექტის („საქართველოს სტატისტიკის სისტემის შემდგომი გაძლიერება“) ფარგლებში შედგა ევროკავშირის ექსპერტების 2 მისია. განხილულ იქნა GSBPM-ზე გადასვლის საგზაო რუკა და საქსტატში სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების პროცესების მოდელები. აღინიშნა საქსტატის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლის საკითხები და პირველადი მონაცემების შეგროვების ერთეულის შექმნის აუცილებლობა. მისიების რეკომენდაციების შესაბამისად, მომზადდა სტატისტიკური პროცესების აღწერილობები GSBPM-ის პრინციპების შესაბამისად (საქსტატის ყველა დეპარტამენტისთვის, სულ მომზადდა 27 პროცესის აღწერილობა).

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტებთან თანამშრომლობით შემუშავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემისთვის მეტამონაცემების ინფორმაციული მოდელი და სტრუქტურა.

ევროკავშირის ექსპერტებთან ერთად, თანამდებობათა სამუშაოს აღწერილობებზე დაყრდნობით, განხორციელდა თანამშრომელთა უნარების შეფასება საქსტატის დარგობრივ დეპარტამენტებსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტში. სპეციალურად შედგენილი კითხვარი მოიცავდა რამდენიმე კატეგორიას, კერძოდ, მეთოდოლოგიის ცოდნა, ტექნიკური უნარები, პროფესიული უნარები და პერსონალური უნარები. პირველ ეტაპზე თანამშრომლებმა შეაფასეს საკუთარი უნარები, რის შემდეგაც მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა შეაფასა მის დაქვემდებარებაში არსებული პერსონალი. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, GSBPM-სა და სტატისტიკური წარმოების მოდერნიზაციის სხვა სტანდარტების შესაბამისად, შემუშავდა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმა 2026-2027 წლებისთვის.

NUTS-ის კლასიფიკაციის დანერგვის მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, საქსტატში ფინეთის სტატისტიკის ექსპერტების 2 ვიზიტი შედგა. ვიზიტებზე, წარმოდგენილი იქნა აღნიშნული კლასიფიკაციის დანერგვის აუცილებელი პირობები, განხილულ იქნა NUTS-ის დონეების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიის დარაიონების ალტერნატიული ვარიანტები. ჩატარდა ტრენინგი, რომელშიც საქსტატის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები. Twinning-ის პროექტის ერთ-ერთი ქვეკომპონენტით, დაგეგმილი იყო ევროსტატის ხარისხის თვითშეფასების კითხვარის (DESAP) ადაპტირებული ვერსიის მომზადება ქართულ ენაზე. შესაბამისად, მომზადდა კითხვარის

ადაპტირებული ვერსია ქართულ ენაზე, რომელიც შეთანხმდა ევროკავშირის ექსპერტებთან. სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტში ჩატარდა „სამუშაო ძალის გამოკვლევის“ პილოტური თვითშეფასება, რომლის შედეგები განხილული იქნა Twinning-ის პროექტის მისიის დროს. ევროკავშირის ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება DESAP-ის უახლესი, GSBPM-თან მისადაგებული ვერსიის გადმოქართულება/ადაპტირების თაობაზე.

სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხზე არსებით გავლენას ახდენს ასევე, მონაცემთა შეგროვების თანამედროვე სისტემების არსებობა. ბოლო წლებია, საქსტატი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

გრძელდებოდა სამუშაოები უძრავი ქონების ფასების ინდექსის მოცვის გაფართოების მიმართულებით. კერძოდ, მიმდინარეობდა მონაცემთა ბაზების მომზადება ქირის ინდექსის გაანგარიშებისა და უკვე არსებული (მეორადი) საცხოვრისების ჩართვის მიზნით. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ექსპერტის დახმარებით, დაიხვეწა არსებული ინდექსისთვის მონაცემთა ვალიდაციის პროცედურები და გაანგარიშების მეთოდოლოგია.

მიღწეულ იქნა საგრძნობი პროგრესი სკანერული მონაცემების რეგულარულად მიღების მიმართულებით. კერძოდ, მონაცემების მიღება ხორციელდება რამდენიმე სავაჭრო ქსელისგან, წინასწარ შეთანხმებული პერიოდულობით. ამჟამად მიმდინარეობს მიღებული მონაცემების ანალიზი და დამუშავება ინდექსის გაანგარიშებაში მათი შემდგომი ჩართვის მიზნით. სკანერული მონაცემების ჩართვა ინფლაციის გაანგარიშებაში მნიშვნელოვნად გაზრდის მონაცემთა ხარისხს, მოცვასა და სანდოობას.

რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკა

მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკური შესაძლებლობების განვითარების პროექტის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით 2022 წელს შეიქმნა რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი. 2025 წლის ბოლოსთვის, პორტალზე განთავსებულია 175 მაჩვენებელი, რომელიც მოიცავს ისეთ მიმართულებებს როგორიცაა: მოსახლეობა, ბიზნეს სექტორი, ბიზნეს რეგისტრი, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები, მშენებლობა, მომსახურების სფერო, ტრანსპორტი და დასაწყობება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტურა და სხვა სფეროები. პორტალზე დამატებული 14 ახალი მაჩვენებლიდან, 10 მიღებულ იქნა ადმინისტრაციული მონაცემთა წყაროებიდან, ხოლო 4 ინდიკატორი გაანგარიშებულია საქსტატის მიერ ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალისა და კაცის შესახებ სხვადასხვა მაჩვენებლებს: პორტალზე განთავსებული 175 მაჩვენებლიდან, 53 ხელმისაწვდომია სქესის მიხედვით, მათგან 7 მაჩვენებელი პორტალს 2025 წელს დაემატა.



სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგია და მისი განხორციელების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა

2024 წლის დასაწყისში საქსტატმა, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, დაასრულა მუშაობა სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2024-2027 წლების სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. აღნიშნული სტრატეგიის მაღალ დონეზე შემუშავების მიზნით, 2023 წლის 15 აგვისტოს საქართველოს მთავრობის №308 დადგენილებით შეიქმნა უწყებათაშორისი საბჭო, მინისტრის მოადგილეების დონეზე, რომელიც კოორდინაციას უწევს სტრატეგიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს. 2024 წლის 21 მარტს, უწყებათაშორისი საბჭოს მეორე სხდომაზე მოწონებული იქნა სტრატეგიის დოკუმენტი (დანართები: 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა, ინდიკატორების პასპორტი, ბიუჯეტირების ინსტრუმენტი, ჩატარებული საჯარო კონსულტაციების შედეგის ანგარიში), რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის №150 დადგენილებით.

საქართველოს მთავრობის 2025 წ. 11 მარტის № 70 დადგენილებით „ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ შეიქმნა ახალი საკოორდინაციო მექანიზმი, ხოლო წინამდებარე დადგენილებაში შესული ცვლილებით (2025 წ. 30 მაისის №189 დადგენილება) განახლებულმა უწყებათაშორისმა საბჭომ შეითავსა სტრატეგიის შემუშავების, მისი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მაკოორდინირებელი საბჭოს ფუნქცია-მოვალეობები და ძალადაკარგულად გამოაცხადა საქართველოს მთავრობის 2023 წ. 15 აგვისტოს № 308 დადგენილება.

2024-2027 წლების სტრატეგია შედგება 3 მიზნის, 9 ამოცანისა და მისი განხოციელების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის 91 აქტივობისაგან.

I მიზანი – მომხმარებელზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად - აერთიანებს 5 ამოცანას და 62 აქტივობას;

II მიზანი – ნდობისა და თანამშრომლობის გაძლიერება მონაცემთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და მონაცემთა მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით - მოიცავს 2 ამოცანას და 12 აქტივობას;

III მიზანი – მომხმარებლების მიერ არსებულ მონაცემთა გამოყენების ხელშეწყობა - წარმოდგენილია 2 ამოცანითა და 17 აქტივობით.

დოკუმენტზე მუშაობისას, გათვალისწინებული იქნა საქართველოში სტატისტიკის სისტემის 2023 წლის ძირეული შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები, რომელიც ევროსტატის, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ორგანიზებით ჩატარდა.

2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის 91 აქტივობიდან მეორე საანგარიშო წელს 60 აქტივობა შესრულდა სრულად, 4 აქტივობაზე (აქედან საქსტატი პასუხისმგებელია 1 აქტივობაზე) მუშაობა გაგრძელდება 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ხოლო 1 აქტივობა (საქსტატი არ არის პასუხისმგებელი უწყება) გადატანილი იქნა სხვა უწყების მომავალი წლების განმავლობაში განსახორციელებელ პოლიტიკის დოკუმენტში.

2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის 2025 წლის დეტალური ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე.

სტატისტიკის არეალის გაფართოება

სტატისტიკის არეალის გაფართოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ახალი გამოკვლევების ჩატარება ან არსებულის მოდიფიკაცია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ახალი ინდიკატორების წარმოება. 2025 წელს, საქსტატის მიერ შეიქმნა სხვადასხვა სახის ახალი სტატისტიკური პროდუქტი და დაიწყო ახალი მაჩვენებლების წარმოება, ასევე ჩატარდა ახალი გამოკვლევები. კერძოდ, 2025 წლიდან დაინერგა და საფუძველი ჩაეყარა შემდეგ გამოკვლევებს, რომელთა ნაწილი აქამდე არ ტარდებოდა:

- სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის (HICP) რამდენიმე ქვეინდიკატორი: ადმინისტრირებადი ფასების (HICP-AP) და მუდმივი გადასახადების (HICP-CT) ფასების ინდექსები. მათი დანერგვის მიზანია ფასების სტატისტიკის ნაწილში ევროკავშირის სტანდარტებთან მაქსიმალური დაახლოება.
- 2025 წლიდან, დაიწყო მშენებლობის ღირებულების ინდექსის (CCI) შემადგენლობაში შემავალი ქვეინდექსების (მშენებლობის 3 სეგმენტისთვის –საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების, ასევე სამოქალაქო მშენებლობისთვის) გამოქვეყნება.
- საერთაშორისო (გარე) მიგრაციის სტატისტიკის გაუმჯობესების მიზნით გამოქვეყნდა ახალი ინდიკატორები - მოქალაქეობის მინიჭება და მოქალაქეობის შეწყვეტა.
- გაანგარიშდა დამატებითი მაჩვენებლები გარემოს სტატისტიკის მიმართულებით.

სტატისტიკის არეალის გაფართოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ასევე სხვადასხვა სფეროს სატელიტური (დამხმარე) ანგარიშების წარმოება, რაც შესაძლებელია სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევებისა და სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავების საფუძველზე. ამ მიმართულებით, საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენდა სპორტის სატელიტური ანგარიშების წარმოება. ამ მიზნით, საქსტატმა შინამეურნეობებში განხორციელებულ ფიზიკურ კულტურასთან და სპორტთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკვლევის შედეგების, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის მონაცემებისა და ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების საფუძველზე შეადგინა და გამოაქვეყნა 2023 და 2024 წლების სპორტის სატელიტური ანგარიში.

გარდა ამისა, საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობის (UN Women) მხარდაჭერით განხორციელდა შინამეურნეობებში აუნაზღაურებელი შრომის შეფასების სატელიტური ანგარიშის შედგენა 2021 წლის მონაცემების საფუძველზე. ანგარიშის შესადგენად გამოყენებული იქნა დროის გამოყენების გამოკვლევის შედეგები, ეროვნული ანგარიშების, სოციალური სტატისტიკის და ბიზნეს სტატისტიკის მონაცემები.

სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება

სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების თვალსაზრისით, საქსტატის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ინტენსიური თანამშრომლობა მედიასთან, აქტიური დიალოგი მომხმარებლებთან და მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესწავლა-გაანალიზება.

ზემოთ აღნიშნულ მიზნებს ემსახურება ასევე ანალიტიკური საქმიანობის გაღრმავება, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საქსტატის მიერ წარმოებული მონაცემების გამოყენებას, აადვილებს დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს სხვადასხვა დონეზე და ამცირებს გავრცელებული ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაციის რისკებს.

გასული წლების მსგავსად, 2025 წლის განმავლობაში, საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან და რესპონდენტებთან.

2025 წლის განმავლობაში, რეგულარულად ტარდებოდა თემატური სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან. ასევე, რეგულარულად მიმდინარეობდა შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ფინანსური მხარდაჭერით საქსტატის ხელმძღვანელობამ მიზნობრივ ჯგუფებთან ორი რამდენიმედღიანი გასვლითი სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. თემატური შეხვედრები ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონების სამხარეო ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენლებთან.

ორდღიანი სამუშაო შეხვედრისას, მონაწილეები გაეცნენ საქართველოს სტატისტიკის სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ქალისა და კაცის შესახებ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, საქსტატის მიერ შემუშავებულ პროდუქტებს, საქსტატის მიერ დანერგილ სერვისებს და სამომავლო გეგმებს. ასევე, განიხილეს სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიური თავისებურებები და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები. იმსჯელეს სხვადასხვა სტატისტიკურ ინდიკატორებზე და დაგეგმვისა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის აუცილებელ მონაცემებზე.

გარდა ამისა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ბავშვებისა და მოზარდებისთვის რამდენიმე შემეცნებითი შეხვედრა ჩაატარა.



რამდენიმე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები გაეცნენ საქსტატის მუშაობის ზოგად პრინციპებს, უწყების ერთსაუკუნოვან ისტორიას, დაათვალიერეს მუზეუმი, სადაც განთავსებულია გამოთვლითი ტექნიკა და საუკუნოვანი დანადგარები.

საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ მოსწავლეებს გააცნო სპეციალურად მათი ასაკობრივი კატეგორიისთვის განკუთვნილი, საბავშვო პორტალი, „სტატისტიკა ბავშვებისა და მოზარდებისთვის“. ესაუბრა საინტერესო და სახალისო სტატისტიკურ ფაქტებზე, მათთან ერთად შეავსო შემეცნებითი ქვიზები და მათ სამახსოვრო სიგელიც გადასცა.

შეხვედრებში მონაწილეობა სხვადასხვა სკოლის 60-მდე მოსწავლემ მიიღო.

2025 წელს საქსტატმა გაცნობითი ვიზიტის ფარგლებში, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სასწავლო ბატალიონის იუნკერებს უმასპინძლა. შეხვედრა მიზნად ისახავდა მონაწილეთათვის საქსტატის როლის და საქმიანობის გაცნობასა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნული ღონისძიება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქსტატის ღია კარის პოლიტიკას და მზადყოფნას, გაუზიაროს ცოდნა ქვეყნის განვითარებაში ჩართულ ყველა სექტორს, მათ შორის სამხედრო სფეროს წარმომადგენლებს.

გარდა ამისა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) ერთად, თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებისთვის ინტერაქტიული პორტალის - „სტატისტიკა ბავშვებისა და მოზარდებისთვის“ პრეზენტაცია გამართა, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეებმა, პორტალის გამოყენებით, შემეცნებითი ქვიზები და დავალებები შეასრულეს. შეხვედრის ბოლოს კი მათ სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.





ბავშვებზე ორიენტირებული სტატისტიკის მნიშვნელობის პოპულარიზაციისა და მონაცემთა წიგნიერების გაძლიერების მიზნით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ორგანიზებით ასევე გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბავშვების უფლებათა აკადემიური ქსელის (CRANG) წევრები და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ბავშვებზე ორიენტირებული მონაცემების გამოყენების ხელშეწყობა, ასევე უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის უნარების განვითარება, რათა მათ უფრო ეფექტურად შეძლონ მაღალი ხარისხის სტატისტიკური მონაცემების მოძიება, ანალიზი, ინტერპრეტაცია და მათი გამოყენება კვლევის, სწავლებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, კოორდინაციის გაუმჯობესებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის მიზნით, 2025 წელს საქპატენტთან და წმ. ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა.

მონაცემთა გავრცელების სისტემა

სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მონაცემთა გავრცელების თანამედროვე და ეფექტური სისტემების არსებობა.





2025 წელს კიდევ უფრო გაფართოვდა მონაცემთა გავრცელების საშუალებები და გაუმჯობესდა სხვადასხვა მიმართულებები, როგორიცაა ინფოგრაფიკები, ვიდეორგოლები, GIF-ანიმაციები, ადვილად აღსაქმელი ცხრილები და თანამედროვე დიზაინის მქონე პრეს-რელიზები, რაც იძლევა ინფორმაციის მარტივად აღქმის შესაძლებლობას და მოსახერხებელია ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისთვის. 2025 წელს საქსტატმა მოამზადა და გაავრცელა 39 ინფოგრაფიკა და 134 ვიდეორგოლი.



2025 წლის განმავლობაში, ვიდეორგოლებისა და ინფოგრაფიკების განთავსება ხორციელ-დებოდა საქსტატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, Facebook-ის, X-ის, LinkedIn-ის გვერდებსა და Youtube-ის არხზე.

საქსტატი მონაცემთა გავრცელების სხვადასხვა საშუალებას იყენებს:

- Facebook
- Twitter
- YouTube
- Linkedin

- ვებ-გვერდი
- მონაცემთა ბაზები PC-AXIS-ის ფორმატში
- სიახლეების გამოწერი სერვისი
- დოკუმენტირებული ანგარიშები
- ვიდეორგოლი/GIF-ანიმაცია
- პრესკონფერენციები, ბრიფინგები და სხვა ღონისძიებები
- ინტერაქტიული პორტალები
- ანდროიდისა და IOS აპლიკაციები
- სტატისტიკური პუბლიკაციები
- პრეს-რელიზები
- ინფოგრაფიკა
- ელ. ფოსტა და ცხელი ხაზი

საქსტატის ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად ქვეყნდება ინფორმაცია კვარტალის განმავლობაში გავრცელებული სტატისტიკური პუბლიკაციების, პრეს-რელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხებისა და ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობის შესახებ.

2025 წლის **განმავლობაში:**

- საქსტატიდან წერილობით გასულია 1 560 ერთეული სტატისტიკური ინფორმაცია
- მომზადდა 23 სტატისტიკური პუბლიკაცია
- საქსტატის ვებ-გვერდით ისარგებლა 1 196 061 მომხმარებელმა
- გავრცელდა 263 პრეს-რელიზი

წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა მედიის წარმომადგენლებთან. მედიამონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2025 წლის მანძილზე საქსტატი და სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია მედიაში მოხსენიებული იყო შემდეგი რაოდენობით: ტელევიზია 1 068, პრესა 283, რადიო 71, საინფორმაციო სააგენტო 2 614. გარდა ამისა, 2025 წელს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ ჩატარდა 22 საინფორმაციო ხასიათის ბრიფინგი და პრეს-კონფერენცია.



მომხმარებელთა გამოკვლევა

ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების საკითხებზე მომხმარებელთა განწყობის შესწავლის, საქსტატის მუშაობის ხარისხის შეფასებისა და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა ჩაატარა.

გამოკვლევის მიზანს ასევე წარმოადგენდა მომხმარებლებთან კომუნიკაციაში საქსტატის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მათ საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თვალსაზრისით, სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა.

გამოკვლევა 2025 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელდა და მოიცვა ყველა ინსტიტუციური სექტორი.

მომხმარებელთა გამოკვლევის ძირითადი შედეგები განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე.

გავრცელებული პუბლიკაციები



საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
კვარტალური ბიულეტენი
2025.III
თბილისი, 2025


საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA
საქართველოს ეროვნული ანგარიშები
NATIONAL ACCOUNTS OF GEORGIA
2024
სტატისტიკური პუბლიკაცია
STATISTICAL PUBLICATION
თბილისი 2026 TBILISI


საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA
საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში
EXTERNAL MERCHENDISE TRADE OF GEORGIA
2024
სტატისტიკური პუბლიკაცია
STATISTICAL PUBLICATION
თბილისი 2025 TBILISI

საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA
პირდაპირი უცხოური
ინვესტიციები საქართველოში
FOREIGN DIRECT INVESTMENTS IN GEORGIA
2024
სტატისტიკური პუბლიკაცია
STATISTICAL PUBLICATION
თბილისი 2025 TBILISI


საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს
ენერგეტიკული ბალანსი
2025 სტატისტიკური პუბლიკაცია

საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA
ბიზნეს სექტორი საქართველოში
BUSINESS SECTOR IN GEORGIA
2025
სტატისტიკური პუბლიკაცია
STATISTICAL PUBLICATION

საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA
დემოგრაფიული ვითარება საქართველოში
DEMOGRAPHIC SITUATION IN GEORGIA
2024
სტატისტიკური პუბლიკაცია
STATISTICAL PUBLICATION
თბილისი 2025 TBILISI


საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკა
საქართველოში
2024 წლის ანგარიში
თბილისი, 2025


საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA
საქართველოს სოფლის მეურნეობა
AGRICULTURE OF GEORGIA
2024
სტატისტიკური პუბლიკაცია
STATISTICAL PUBLICATION
თბილისი 2025 TBILISI

საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ბუნებრივი
რესურსები და გარემოს დაცვა
2024
სტატისტიკური პუბლიკაცია

საქსტატი
www.geostat.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA
აკვაკულტურა საქართველოში
AQUACULTURE IN GEORGIA
2024
სტატისტიკური პუბლიკაცია
STATISTICAL PUBLICATION
თბილისი 2025 TBILISI

საქსტატი
საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახური
ქალი და კაცი
საქართველოში
სტატისტიკური პუბლიკაცია
თბილისი - 2025

ევროკავშირი საქართველოსთვის
UN WOMEN
UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY
ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადრეული ქორწინების კვლევა
2024
კვლევის შედეგების ანგარიში

ეს საქართველოა
სტატისტიკური პუბლიკაცია
WWW.GEOSTAT.GE


Norway
UN WOMEN
WOMEN COUNT
UNPAID HOUSEHOLD WORK SATELLITE ACCOUNT OF GEORGIA
2024

ახალი პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება

2025 წლის განმავლობაში საქსტატმა მომხმარებლებს რამდენიმე ახალი ინტერაქციული ვებ-პორტალი შესთავაზა.

ენერგეტიკის სტატისტიკის პორტალი

2025 წელს საქსტატში შეიქმნა ენერგეტიკის სტატისტიკის პორტალი, რომელიც მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს ერთ სივრცეში მიიღოს, დაათვალიეროს და სხვადასხვა ფორმატით ჩამოტვირთოს მონაცემები ენერგეტიკის სტატისტიკის შესახებ.

პორტალზე განთავსებულია ენერგორესურსების და ენერგეტიკული ნაკადების მიხედვით დისაგრეგირებული წლიური მონაცემები ენერგეტიკული ბალანსის შესახებ, ყოველთვიური ენერგეტიკული სტატისტიკის მაჩვენებლები, ნახევარწლიური მაჩვენებლები ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის

ფასების (საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო) შესახებ, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ინდიკატორები (მათ შორის, ორი SDG ინდიკატორი) და შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების (2022) გამოკვლევის შედეგები.

გარემოს სტატისტიკის პორტალი

2025 წელს, საქსტატმა ახალი პროდუქტის - გარემოს სტატისტიკის პორტალის პრეზენტაცია გამართა.

პორტალზე მარტივად აღსაქმელი ფორმით, თავმოყრილია სტატისტიკური ინფორმაცია ჰაერის, ბიომრავალფეროვნების, წყლის, კლიმატის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს ეკონომიკური ანგარიშების, ნარჩენების და გარემოსთან დაკავშირებული სხვა მაჩვენებლების შესახებ. პორტალი მომხმარებელს აძლევს საშუალებას, ინტერაქტიული გრაფიკების და ვიზუალიზაციის თანამედროვე ელემენტების გამოყენებით, მოახდინოს ქვეყანაში არსებული გარემოს და ბუნებრივი რესურსების შესახებ ინფორმაციის ანალიზი. პორტალი ცხრა მოდულისგან შედგება.



ბავშვებისა და მოზარდების სტატისტიკის პორტალი



2025 წელს, განახლდა ბავშვებისა და მოზარდების სტატისტიკური პორტალი და დაემატა ახალი მაჩვენებლები. პორტალზე, მარტივად აღსაქმელი ფორმით თავმოყრილია სტატისტიკური ინფორმაცია ბავშვებისა და მოზარდების შესახებ. გარდა ამისა, პორტალზე განთავსებულია შესაბამისი კანონმდებლობა, ინფოგრაფიკები და სხვა სასარგებლო ბმულები.

ქალისა და კაცის სტატისტიკის პორტალი

2025 წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად განაგრძობდა ქალისა და კაცის სტატისტიკის პორტალის განვითარებას და სრულყოფას.

პორტალზე განახლდა არსებული მაჩვენებლები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორები, ინფოგრაფიკები, ასევე დაემატა ახალი ინდიკატორები და განთავსდა განახლებული პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში, 2025“.

საქსტატის 106 წლის იუბილე

2025 წლის 25 ივლისს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაარსებიდან 106-ე საიუბილეო წელი აღნიშნა. საიუბილეო ღონისძიებაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი 2024 წელს ჩატარებულ მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერაში. წარმატებულ და ღვაწლმოსილ თანამშრომლებს, აგრეთვე პარტნიორ ორგანიზაციებს მადლობის სიგელები გადაეცათ აღწერის წარმატებით განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

ქვეყნის სტატისტიკის პირველი სამსახური 1919 წლის 25 ივლისს შეიქმნა. შესაბამისად, აღნიშნული თარიღი საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის წარმოების დაწყებას უკავშირდება.

გენდერული სტატისტიკის საერთაშორისო ფორუმი

1-3 ოქტომბერს საქართველოში გენდერული სტატისტიკის მე-10 გლობალური ფორუმი ჩატარდა. ღონისძიება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD) ორგანიზებით გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდა 30-მდე ქვეყნისა და 17 საერთაშორისო ორგანიზაციის 200-მდე მონაწილე, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელი პირები, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო უწყებებისა და სხვა პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლები. ფორუმი წარმოადგენს გლობალურ პლატფორმას, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, გამოცდილებისა და პრაქტიკული ინსტრუმენტების გაცვლას ქალისა და კაცის შესახებ სტატისტიკის განვითარების სფეროში.

ფორუმი, რომლის ძირითადი დევიზი იყო „ცვლილებების მართვა გენდერული სტატისტიკის საშუალებით: გზა თანასწორობისკენ“ (Driving Change with Gender Statistics: A Path to Equality), გაეროს გენდერული სტატისტიკის გლობალური პროგრამის ფარგლებში გაიმართა. ის წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატ-

ფორმას, სადაც განიხილება ქალის და კაცის თანასწორობის, კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების საკითხები, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და მათი სრულფასოვანი მონაწილეობა სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებში. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ ძალადობისა და სტერეოტიპების დაძლევის საკითხებს. მონაწილეებმა იმსჯელეს ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი შრომის სტატისტიკასა და დროის გამოყენების გამოკვლევის შედეგებზე.

ფორუმზე ყურადღება გამახვილდა პოლიტიკის დაგეგმვისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის ქალისა და კაცის შესახებ მონაცემების მნიშვნელობაზე.

სამი დღის განმავლობაში მონაწილეებმა იმსჯელეს როგორც მონაცემთა წარმოების, ისე მათი ანალიზისა და გავრცელების საკითხებზე, რაც აუცილებელია ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

გენდერული სტატისტიკის უწყებათაშორისი და ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (IAEG-GS) მე-19 შეხვედრა

30 სექტემბერს, ქ. თბილისში, გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD) კოორდინაციის ქვეშ შექმნილი გენდერული სტატისტიკის უწყებათაშორისი და ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის (IAEG-GS) მე-19 შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრა გაეროს სტატისტიკის სამმართველოს ორგანიზებით ჩატარდა, რომელსაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მასპინძლობდა. სამუშაო ჯგუფი აერთიანებს ექსპერტებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ქვეყნებიდან გენდერული სტატისტიკის მიმართულებით.

შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), მსოფლიო ბანკისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ექსპერტები.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოების მიმართულებით არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები, მათ შორის ქალთა ეკონომიკური ჩართულობის და მიგრაციის, ქალთა მიმართ ძალადობის (მათ შორის ტექნოლოგიების გამოყენებით ძალადობის), ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის, ფინანსური ჩართულობისა და შრომითი უფლებების სტატისტიკის მიმართულებით და სხვა.

CRVS სისტემების გაძლიერების შესახებ საერთაშორისო ღონისძიება

1 ოქტომბერს, ქ. თბილისში, გენდერული სტატისტიკის მე-10 გლობალური ფორუმის ფარგლებში, გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკურმა და სოციალურმა კომისიამ (UNESCAP) „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის და ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის (CRVS) სისტემების გაძლიერების“ ღონისძიება გამართა.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და ინოვაციური მიდგომები ქალისა და კაცის თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით. პანელურ დისკუსიაში მონაწილეობდნენ საქართველოს, მაროკოს სამეფოს და ჯიბუტის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული სამსახურების, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) წარმომადგენლები.

ღონისძიებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თანამშრომლობის მნიშვნელობას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის და ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის (CRVS) სისტემების განვითარებაში ქალისა და კაცის თანასწორობის მისაღწევად. მონაწილეები შეთანხმდნენ რეგულარული გამოცდილების გაზიარების შესახებ და ერთობლივი ინიციატივების განხორციელებაზე.

თბილისში PARIS21-ის ახალი ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა

2 ოქტომბერს, გენდერული სტატისტიკის მე-10 გლობალური ფორუმის ფარგლებში, თბილისში PARIS21-მა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა და გაეროს სტატისტიკის სამმართველომ „მონაცემებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოება - პოლიტიკა, ადამიანები და პრაქტიკა გენდერული სტატისტიკის გამოყენების მიღმა“ - ანგარიში წარადგინა. ზემოაღნიშნული ანგარიში ეფუძნება 2023–2024 წლებში კენიაში, რუანდაში, მალდივებსა და დომინიკის რესპუბლიკაში განხორციელებულ სამწლიან გამოკვლევას, რომელიც ჩატარდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურებისა და სხვადასხვა უწყებების მჭიდრო თანამშრომლობით. კვლევა ქალისა და კაცის სტატისტიკას წარმოაჩენს პოლიტიკის წარმართვის აუცილებელ ინსტრუმენტად, განათლების, კლიმატის ცვლილების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სხვა სფეროებში.

შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებისა და მომხმარებლების ერთობლივი ჩართულობა პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში და ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

საქსტატისა და აზიის განვითარების ბანკის (ADB) ორგანიზებით შრომის ბაზრის სისტემის შესახებ საერთაშორისო ფორუმი ჩატარდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და აზიის განვითარების ბანკის (ADB) ორგანიზებით საერთაშორისო ფორუმი - „შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემების გაძლიერება სწრაფი ცვლილებების სამყაროში“ ჩატარდა.

ფორუმის მიზანს წარმოადგენდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო და სხვა დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლების მიერ შრომის ბაზრის თანამედროვე საინფორმაციო სისტემების განვითარების საჭიროებების და აზიის განვითარების ბანკთან (ADB) თანამშრომლობით ჩატარებული, სამუშაოსთან დაკავშირებული უნარების გამოკვლევის შედეგების განხილვა.

შეხვედრა პანელური დისკუსიების ფორმატში მიმდინარეობდა და მასში საქსტატის, სამთავრობო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

2025 წელს განხორციელებული პროექტები

2025 წელს საქსტატის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია:

ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადრეული ქორწინების გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა და გაეროს მოსახლეობის ფონდმა (UNFPA), ევროკავშირის წარმომადგენლობისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ჩაატარა ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადრეული ქორწინების გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგად შეგროვდა მონაცემები მდგრადი განვითარების მე-5 (ქალის და კაცის თანასწორობა) და მე-3 (ჯანმრთელობა და კეთილდღეობა) მიზნებთან (SDG) დაკავშირებულ ინდიკატორებზე.

გამოკვლევის შედეგად შეგროვდა მონაცემები ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკა და ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხები. გამოკვლევის შედეგების საფუძველზე გაანგარიშდა SDG-ს შემდეგი ინდიკატორები:

- 20-24 წლის იმ ქალთა პროპორციული რაოდენობა, რომლებიც დაქორწინებულები იყვნენ ან სამოქალაქო კავშირში იმყოფებოდნენ 15-დან 18 წლის ასაკამდე (SDG 5.3.1);
- 15-49 წლის იმ ქალთა პროპორციული ოდენობა, ვინც სექსუალურ ურთიერთობებთან, კონტრაცეპტივების გამოყენებასთან და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით, საკუთარ, ინფორმირებულ გადაწყვეტილებას იღებს (SDG 5.6.1);
- რეპროდუქციული ასაკის (15-49 წლის) იმ ქალების პროპორციული ოდენობა, რომელთა ოჯახის დაგეგმვის საჭიროება დაკმაყოფილებულია თანამედროვე მეთოდების მეშვეობით (SDG 3.7.1);

გამოკვლევისათვის სამიზნე ერთობლიობას წარმოადგენდა ქვეყანაში მცხოვრები რეპროდუქციული ასაკის (15-49 წლის) ქალი მოსახლეობა (გარდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისა). გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 4 500 რესპონდენტმა, რისთვისაც შეირჩა ამავე რაოდენობის შინამეურნეობა.

გამოკვლევის შედეგები საქსტატის ვებ-გვერდზე 2025 წლის ივლისში გავრცელდა.

სამუშაოსთან დაკავშირებული უნარების გამოკვლევა

2025 წელს, აზიის განვითარების ბანკთან (ADB) თანამშრომლობის ფარგლებში, გაგრძელდა მუშაობა სამუშაოსთან დაკავშირებული უნარების გამოკვლევის შედეგების ანალიზის მიმართულებით. გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა, სამუშაოზე შესასრულებელი დავალებებისა და მის განსახორციელებლად საჭირო უნარების შესახებ საერთაშორისო დონეზე შესადარისი მონაცემების წარმოება. გამოკვლევის ფარგლებში შეგროვდა მონაცემები სხვადასხვა სახის აქტივობებში დასაქმებულთა ჩართულობის, სამუშაოს ადგილმდებარეობის, დისტანციურად მუშაობის, ონლაინ პლატფორმების გამოყენებისა და ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტირების შესახებ.

ADB ASIAN DEVELOPMENT BANK

ხელფასების სტრუქტურის პილოტური გამოკვლევა (SES)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, ჩაატარა ხელფასების სტრუქტურის პილოტური გამოკვლევა, რომელიც წარმოადგენდა სრულმასშტაბიანი გამოკვლევის ჩასატარებლად მოსამზადებელ სამუშაოს. ასევე მისი მიზანი იყო გამოკვლევის ძირითადი გამოწვევებისა და შესაძლებლობების გამოვლენა. პილოტური გამოკვლევის შედეგებისა და მიგნებების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები სრულმასშტაბიანი გამოკვლევის განსახორციელებლად.

UN WOMEN

ხელფასების სტრუქტურის გამოკვლევა (SES)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, დაიწყო ხელფასების სტრუქტურის სრულმასშტაბიანი გამოკვლევა, რომლის ფარგლებშიც 2025 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა გამოკვლევის საველე სამუშაოები.

ხელფასების სტრუქტურის გამოკვლევის მიზანია შრომის ანაზღაურების ანალიზი, დასაქმებულ პირთა ინდივიდუალური მახასიათებლებისა (სქესი, ასაკი, პროფესია, სამუშაო სტაჟი, მიღწეული განათლების უმაღლესი დონე და სხვა) და დამსაქმებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების მახასიათებლების (ეკონომიკური საქმიანობის სახე, ზომა და მდებარეობა) მიხედვით. გამოკვლევის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს ქალისა და კაცის სახელფასო სხვაობა (GPG) - კაცისა და ქალის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობის თანაფარდობა კაცის საშუალო ხელფასთან (გამოსახული პროცენტებში).

მომსახურების სექტორში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევა

2025 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, განხორციელდა ბიზნეს სექტორში, მომსახურების დარგებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის შესწავლა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მომსახურების დარგებში მოთხოვნადი პროფესიული უნარების შესწავლა. კვლევის შედეგად სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შესწავლილ იქნა: სამუშაოს შესასრულებლად საჭირო უნარები, დასაქმების ცვლილება და მუშახელის ჩანაცვლების საჭიროებები, სამუშაო ძალაზე არსებული და სამომავლო მოთხოვნა.

2025 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები დეპარტამენტების მიხედვით

ეროვნული ანგარიშები

ეროვნული ანგარიშების მიმართულებით საქსტატში ადგილი ჰქონდა შემდეგი სახის ცვლილებებს:

1

განხორციელდა 2023 და 2024 წლების სპორტის სატელიტური ანგარიშის შედგენა;

2

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) საქართველოს წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით გამოქვეყნდა შინამეურნეობების აუნაზღაურებელი შრომის სატელიტური ანგარიში 2021 წლის მონაცემების საფუძველზე;

3

მიმდინარეობდა ევროპული ანგარიშების სისტემის (European System of Accounts - ESA 2010) მეთოდოლოგიის დანერგვის შესაძლებლობის შეფასება;

4

მიმდინარეობდა მუშაობა ეროვნული ანგარიშების შედგენის პროგრამულ უზრუნველყოფაზე;

5

მიმდინარეობდა თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასების გაუმჯობესების მიმართულებით;

6

დაიწყო თანამშრომლობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) არაფორმალური ეკონომიკის შეფასების მიმართულებით;

7

მიმდინარეობდა თანამშრომლობა აზიის განვითარების ბანკთან (ADB), ტურიზმის სატელიტური ანგარიშების განვითარების და ციფრული რესურსებისა და გამოყენების ცხრილების (Digital SUTs) წარმოების მიმართულებით.

ფასების სტატისტიკა

სამომხმარებლო ფასების ინდექსი

განხორციელდა 2026 წლის სამომხმარებლო კალათის წონების განახლება, ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების დანახარჯების უახლესი სტრუქტურის შესაბამისად. 2025 წელთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის შემადგენლობა არ შეცვლილა და კვლავ 305 დასახელების საქონლისა და მომსახურებისგან შედგება.

2026 წლის სამომხმარებლო კალათის წონები.



საერთაშორისო შედარებების პროგრამა

წლის განმავლობაში საქსტატი მონაწილეობდა საერთაშორისო შედარებების პროგრამით (International Comparison Program – ICP) გათვალისწინებულ ყოველწლიურ აქტივობებში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა რამდენიმე გამოკვლევა:

- სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების სტატისტიკური გამოკვლევა
- საინვესტიციო (კაპიტალური) საქონლის ფასების გამოკვლევა
- განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების გამოკვლევა
- საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების გამოკვლევა
- ე.წ. „სივრცითი კორექტირების ფაქტორების“ დადგენის მიზნით სასტუმროების მომსახურების გამოკვლევა

აღნიშნული პროგრამა მსოფლიო ბანკის დახმარებით ხორციელდება, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოს 200-მდე ქვეყანა. მისი მიზანია პროგრამაში მონაწილე ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის შედარება მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით. საქსტატი ამ პროგრამაში მონაწილეობს ევროსტატი-OECD-ის სამუშაო ჯგუფში ჩართულობის მეშვეობით.

საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა

- დასრულდა „საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის“ ახალი ვერსიის (HS2022) დანერგვისთვის საჭირო სამუშაოები. განახლდა და გამოქვეყნდა დროითი მწკრივი 2020 წლიდან განახლებული კლასიფიკაციის შესაბამისად.
- დასრულდა სამუშაოები იმპორტირებული საქონლის ღირებულების CIF -იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებიდან FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში გადაანგარიშების მეთოდოლოგიაზე. შემუშავდა აქტივობისთვის საჭირო გამოკვლევის კითხვარი და ორგანიზაციების შერჩევის ჩარჩო.

ბიზნეს სტატისტიკა

- განახლდა და გაუმჯობესდა ბიზნეს სტატისტიკის მონაცემთა შეგროვების ონლაინ კითხვარი;
- შეიქმნა „ენერგეტიკის სტატისტიკის პორტალი“;
- გაფართოვდა ენერგოეფექტურობის მაჩვენებლების შესახებ წარმოებული სტატისტიკური მონაცემები და გამოქვეყნდა ენერგოინტენსიურობისა და ენერგოპროდუქტიულობის ინდიკატორები;
- ევროსტატის კომპენდიუმის (SRC) არასავალდებულო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოქვეყნდა მონაცემები საჰაერო ტანსპორტის ინფრასტრუქტურის შესახებ;
- ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოქვეყნდა მონაცემები ტექნიკური ინსპექტირებების რაოდენობის შესახებ ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორიების მიხედვით;
- ადმინისტრაციულ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოქვეყნდა მონაცემები ქ. თბილისში ტაქსებზე გაცემული A და B კატეგორიის ნებართვების შესახებ ავტომობილის მარკის, ავტომობილის ასაკისა და ნებართვის მფლობელი პირის ასაკის მიხედვით;
- 14 დღით შემცირდა „ენერგეტიკული ბალანსის“ გამოქვეყნების ვადა;
- ჩატარდა ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების სტატისტიკური გამოკვლევა (საანგარიშო თვე — 2025 წლის ოქტომბერი) და შედეგები გამოქვეყნდა რეგიონულ ჭრილში, გამსხვილებული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.



სოციალური სტატისტიკა

- გამოქვეყნდა ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადრეული ქორწინების გამოკვლევის შედეგები, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), ევროკავშირის წარმომადგენლობისა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ჩაატარა. გამოკვლევა მოიცავს ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკის, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებს.

- 2025 წელს, აზიის განვითარების ბანკთან (ADB) თანამშრომლობის ფარგლებში, გაგრძელდა მუშაობა სამუშაოსთან დაკავშირებული უნარების გამოკვლევის შედეგების ანალიზის მიმართულებით. გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა, სამუშაოზე შესასრულებელი დავალებებისა და მის განსახორციელებლად საჭირო უნარების შესახებ საერთაშორისო დონეზე შესადარისი მონაცემების წარმოება.

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, ჩაატარა ხელფასების სტრუქტურის პილოტური გამოკვლევა, რომელიც წარმოადგენდა სრულმასშტაბიანი გამოკვლევის ჩასატარებლად მოსამზადებელ სამუშაოს. ასევე მისი მიზანი იყო გამოკვლევის ძირითადი გამოწვევებისა და შესაძლებლობების გამოვლენა. პილოტური გამოკვლევის შედეგებისა და მიგნებების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები სრულმასშტაბიანი გამოკვლევის განსახორციელებლად.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, დაიწყო ხელფასების სტრუქტურის სრულმასშტაბიანი გამოკვლევა, რის ფარგლებშიც 2025 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა გამოკვლევის საველე სამუშაოები. ხელფასების სტრუქტურის გამოკვლევის მიზანია შრომის ანაზღაურების ანალიზი

დასაქმებულ პირთა ინდივიდუალური მახასიათებლებისა (სქესი, ასაკი, პროფესია, სამუშაო სტაჟი, მიღწეული განათლების უმაღლესი დონე და სხვა) და დამსაქმებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების მახასიათებლების (ეკონომიკური საქმიანობის სახე, ზომა და მდებარეობა) მიხედვით. გამოკვლევის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს ქალისა და კაცის სახელფასო სხვაობა (GPG) - კაცისა და ქალის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობის თანაფარდობა კაცის საშუალო ხელფასთან (გამოსახული პროცენტებში).

- განხორციელდა აქტივობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების გაფართოების მიზნით. კერძოდ:
- შესრულდა 2025 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წლიური სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები, კერძოდ:
  - გაანგარიშდა და გავრცელდა დამატებითი მაჩვენებელი - „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საბაზო და ზოგადი განათლების მქონე სსსმ პირების რიცხოვნობა პროგრამების და სქესის მიხედვით“.
  - დამტკიცდა 2026 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წლიური სამოქმედო გეგმა.

- შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში დაინერგა განახლებული დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორი - COICOP (2018).
- გაანგარიშდა და გავრცელდა განათლების სტატისტიკის ახალი მაჩვენებლები;
- გაანგარიშდა და გავრცელდა ქალისა და კაცის სტატისტიკის ახალი მაჩვენებლები რეგიონულ დონეზე;
- ბავშვებისა და მოზარდების სტატისტიკის პორტალი განახლდა მიმდინარე სტატისტიკური მონაცემებით და დაემატა ახალი ინდიკატორები;
- ქალისა და კაცის ინტერაქტიული პორტალი განახლდა მიმდინარე სტატისტიკური მონაცემებით და დაემატა ახალი ინდიკატორები.

ქალის და კაცის სტატისტიკა

საქსტატმა 2025 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქალისა და კაცის სტატისტიკის განვითარებისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით. კერძოდ:

- გაუმჯობესდა ქალისა და კაცის სტატისტიკის პორტალი, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ქალისა და კაცის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებს, ერთ სივრცეში მოიძიონ მათთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები. პორტალზე ასევე განთავსდა დამატებითი მაჩვენებლები. ქალისა და კაცის სტატისტიკის მომხმარებლებისთვის ჩატარდა ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები გაეცნენ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიებს და მონაცემთა გავრცელების პლატფორმებს.
- გამოქვეყნდა ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადრეული ქორწინების გამოკვლევის შედეგები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, ჩაატარა ხელფასების სტრუქტურის პილოტური გამოკვლევა, რომელიც წარმოადგენდა სრულმასშტაბიანი გამოკვლევის ჩასატარებლად მოსამზადებელ სამუშაოს. 2025 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელდა სრულმასშტაბიანი გამოკვლევის საველე სამუშაოები. გამოკვლევის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს ქალისა და კაცის სახელფასო სხვაობა (GPG) - კაცისა და ქალის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობის თანაფარდობა კაცის საშუალო ხელფასთან (გამოსახული პროცენტებში).



მოსახლეობის აღწერა და დემოგრაფიული სტატისტიკა

- დასრულდა 2024 წლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის საველე სამუშაოები და ხარისხის კონტროლი;
- მიმდინარეობდა აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და დამუშავება;
- გამოქვეყნდა აღწერის წინასწარი შედეგები, კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების, თვითმმართველი ერთეულების, საქალაქო-სასოფლო დასახლებებისა და სქესის მიხედვით;
- საერთაშორისო (გარე) მიგრაციის სტატისტიკის გაუმჯობესების მიზნით გამოქვეყნდა ახალი ინდიკატორები - მოქალაქეობის მინიჭება და მოქალაქეობის შეწყვეტა.

სოფლის მეურნეობის და გარემოს სტატისტიკა

- გაანგარიშდა გარემოს სტატისტიკის ისეთი დამატებითი მაჩვენებლები, როგორებიც არის ენერგიის ფიზიკური ნაკადების ანგარიშები (PEFA), წყლის ფიზიკური ნაკადების და ტყის ფიზიკური აქტივების ანგარიში.
- შეიქმნა გარემოს სტატისტიკის პორტალი;



- მიმდინარეობდა 2024 წლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და დამუშავება;
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მიმართულებით, აზიის განვითარების ბანკის (ADB) ტექნიკური მხარდაჭერით, დისტანციური ზონდირების თანამედროვე მეთოდოლოგიით განხორციელდა საპილოტე მონაცემების შეგროვება და სპეციალიზებული ტრენინგი.

ინფორმაციული ტექნოლოგიები

შეიქმნა გარემოს სტატისტიკის პორტალი;

შეიქმნა ენერგეტიკის სტატისტიკის პორტალი;

დაიწყო მუშაობა 2024 წლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემთა ბაზის გასუფთავებაზე;

განხორციელდა კლანშეტური კომპიუტერების სისტემური გასუფთავება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის გადაცემის მიზნით;

ქსელური და უსაფრთხოების ტექნიკისთვის განხორციელდა ლიცენზიების შესყიდვა/განახლება.





შიდა აუდიტი და მონიტორინგი/ინსპექტირება

შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, 2025 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში, განახორციელა როგორც შიდა აუდიტორული შემოწმებები, ასევე მონიტორინგი/ინსპექტირება და არაგეგმიური დავალებები.

შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, სტანდარტების, აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით, 2025 წლის განმავლობაში შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ განხორციელებული სამუშაოებია:

ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამისობის აუდიტი,

რომელიც ემსახურებოდა შემდეგ კონკრეტულ მიზნებს:

- მომხმარებელზე ორიენტირებული მეტამონაცემების წარმოების, გავრცელების და დაარქივების პროცესების შესაბამისობის შემოწმება და აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების წარდგენა;
- მომხმარებელზე ორიენტირებული მეტამონაცემების სტრუქტურის შესაბამისობის შემოწმება ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის დეკლარაციასთან;
- განხორციელებულ ხარისხის აუდიტში პროცესების შემოწმება და მისი შესაბამისობა საქსტატში მოქმედ რეგულაციებთან;
- გამოუპასუხებელი კითხვარების თაობაზე განმარტებების წარმოების პროცესის შემოწმება და აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების წარდგენა;
- დეპარტამენტში არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასება და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;
- გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

მმართველობითი პროცესის სისტემური აუდიტი (საპილოტე პროექტი) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებში - ბიუროებში, რომლის მიზანი იყო:

- მმართველობითი პროცესის ეფექტურობის შეფასება;
- შიდა კონტროლის სისუსტეების განსაზღვრა;
- რეკომენდაციების შემუშავება.

საველე სამუშაოების მონიტორინგი/ინსპექტირება შემდეგი გამოკვლევების ფარგლებში:

- „მწარმოებელთა ფასების სტატისტიკური გამოკვლევა“;
- „ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკური გამოკვლევა“;
- „სამუშაო ძალის გამოკვლევა“.

აღნიშნული გამოკვლევების მონიტორინგი/ინსპექტირების განხორციელების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ინტერვიუერების საქმიანობაში შესაძლო დარღვევების პრევენცია და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

არაგეგმური დავალებები:

- „მომსახურების სფეროში უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის სტატისტიკური გამოკვლევის“ მონიტორინგი;
- სამსახურებრივი მოკვლევები - საქსტატის თანამშრომლების შესაძლო დისციპლინური პასუხისმგებლობის გადაცდომასთან დაკავშირებით.

საველე სამუშაოების მონიტორინგი/ინსპექტირება საქსტატის მიერ ორგანიზებული ძირითადი გამოკვლევების ფარგლებში

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177[12] მუხლის შესაბამისად, ინფორმაციის წარუდგენლობისთვის მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ, 2025 წლის განმავლობაში შედგენილ იქნა 57 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და წარედგინა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. მათგან, 33 ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177[12] მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამართალდამრღვევი მეწარმე სუბიექტის გაფრთხილებას და ერთი თვის ვადაში ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. 24 ოქმი შედგენილია ამავე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, რომელიც სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, 200 ლარის ოდენობით.

გასათვალისწინებელია, რომ საქსტატი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სანქციებზე ორიენტირებულ ორგანიზაციას და ყოველთვის ცდილობს რესპონდენტებთან მუდმივი კონტაქტისა და თანამშრომლობის, მათთვის ინფორმაციის წარდგენაში დახმარებისა და პროცესის გამარტივების გზით, უზრუნველყოს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე ნაჩვენებია გამოუპასუხებლობის მაჩვენებლის დინამიკა 2014-2025 წლებში ძირითადი (საწარმოთა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების) გამოკვლევების მიხედვით:

გამოუპასუხებლობა საწარმოთა ძირითადი გამოკვლევების მიხედვით (%)



საერთაშორისო თანამშრომლობა

თავი V

საერთაშორისო თანამშრომლობა

ოფიციალური სტატისტიკის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, საქსტატი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განვითარებული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან. ამასთან, საქსტატი ყველა ძირითად სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიით, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. აღსანიშნავია ისიც, რომ „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო გამოცდილებას.

საერთაშორისო სტანდარტების და მეთოდოლოგიების შემუშავება ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორიცაა ევროსტატი, გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა.

აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც განხორციელდა 2025 წელს:

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის 2025 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო სამი საკითხის შესრულება. ხოლო ორი საკითხის შესრულებას ითვალისწინებდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმა (DCFTA). ხუთივე საკითხი შესრულდა სრულად, კერძოდ:

1. **2024 წლის მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის გეგმით გათვალისწინებული წინასწარი მონაცემების გამოქვეყნება -** შესრულდა სრულად.
2. **ევროპული ანგარიშების სისტემის 2010 წლის მეთოდოლოგიის (European System of Accounts - ESA 2010) დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოები -** შესრულდა სრულად.
3. **საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის ინდექსის (Owner occupied housing price index) გაანგარიშების შესაძლებლობების შეფასება -** შესრულდა სრულად.
4. **საერთაშორისო შედარებების პროგრამით (ICP) გათვალისწინებული გამოკვლევების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა -** შესრულდა დიდწილად.
5. **მოსახლეობის რეგისტრის შექმნის მიზნით საგზაო რუკის შემუშავების მოსამზადებელი სამუშაოები -** შესრულდა სრულად.
6. **ევროსტატის რეგიონული სტატისტიკის NUTS კლასიფიკაციის საქართველოში დანერგვის „ჰარმონიზაციის გეგმის“ განხორციელების სამუშაოები -** შესრულდა დიდწილად.
7. **ზოგადი სტატისტიკური ბიზნესის პროცესის მოდელის (GSBPM) დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოები -** შესრულდა სრულად.
8. **იმპორტირებული საქონლის ღირებულების გადაანგარიშება CIF -იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებიდან FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში -** შესრულდა დიდწილად.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისის (UNECE) ექსპერტების მისია საქსტატში

2025 წლის ოქტომბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში სამუშაო ვიზიტით გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ექსპერტთა მისია იმყოფებოდა. მისიის მიზანს წარმოადგენდა საქსტატისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა ენერგიის ფიზიკური ნაკადების ანგარიშებისა (PEFA) და ჰაერში ემისიების ანგარიშების (AEA) შემუშავების პროცესში, აგრეთვე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ვიზიტის ფარგლებში განიხილეს გარემოსდაცვითი-ეკონომიკური ანგარიშგების სისტემის (SEEA) იმპლემენტაციის მიმდინარე მდგომარეობა საქართველოში, არსებული პროგრესი და შემდგომი განვითარების გზები. გარემოს სტატისტიკის განვითარება საქსტატის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს და ასახულია საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის (2024–2027) სამოქმედო გეგმაში.

UNECE

თანამშრომლობა აზიის განვითარების ბანკთან (ADB)

2025 წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა აზიის განვითარების ბანკთან (ADB), სხვადასხვა სახის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში.

აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში ახალი ტექნოლოგიებისა და დიდი მონაცემების (ე.წ. Big data) გამოყენების შესაძლებლობების შეფასებას და აერთიანებს სამ კომპონენტს: სატელიტური ანგარიშების წარმოების განვითარება, მოსახლეობის მობილობის შეფასება მობილური ოპერატორის მონაცემების გამოყენებით და სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ფარგლებში დისტანციური ზონდირების მეთოდის საპილოტე ტესტირება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქსტატმა სამუშაო ჯგუფის მისიას უმასპინძლა.

ევროკავშირის პროგრამა TWINNING-ის პროექტი

თანამშრომლობა ფინეთის, გერმანიისა და იტალიის სტატისტიკის სამსახურებთან

2024 წლის აპრილიდან საქსტატში ევროკავშირის ახალი პროგრამა Twinning-ის პროექტი - „საქართველოს სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება“ (Further Strengtheining of the Georgian Statistical System in Georgia GE 21 NDICI ST 01 23) დაიწყო. პროექტს ახორციელებდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სტატისტიკის სისტემის მქონე - ფინეთის სტატისტიკის სამსახური, გერმანიისა და იტალიის სტატისტიკის სამსახურებთან ერთად. ახალი პროექტი მოიცავდა სამ ძირითად კომპონენტს: საერთაშორისო სტანდარტებთან და მეთოდოლოგიებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, დემოგრაფიული და მოსახლეობის სტატისტიკის გაუმჯობესება და სამთავრობო უწყებების შესაძლებლობების გაძლიერება ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და გამოყენების მიზნით.

პროექტი მიზნად ისახავდა ქვეყანაში სტატისტიკის სისტემის შემდგომ გაძლიერებას, საქსტატის მიერ დროული, საერთაშორისო დონეზე შესადარისი, სანდო მონაცემების წარმოებასა და მის დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომლობა უნდა გაგრძელებულიყო 2 წლის განმავლობაში, 2026 წლის აპრილის ჩათვლით, თუმცა ევროკავშირის გადაწყვეტილებით 2025 წლის დეკემბერში პროექტი დაიხურა.

საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის არჩევა ევროპის სტატისტიკოსთა ბიუროს წევრად/ვიცე პრეზიდენტად

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი გოგიტა თოდრაძე ორი წლის ვადით ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის ბიუროს (CES) წევრად/ვიცე პრეზიდენტად აირჩიეს. არჩევნები 2025 წლის 18 ივნისს, ქ. ჟენევაში, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ორგანიზებით ჩატარდა.

ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენცია UNECE-ს რეგიონის ოფიციალური სტატისტიკის მართვის უმაღლესი ორგანოა, რომელიც 56 ქვეყანას აერთიანებს - მათ შორის ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს.

არჩევნები სპეციალური პროცედურების მიხედვით ჩატარდა. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის პროტოკოლის მიხედვით, ბიუროს წევრობის კანდიდატთა სია დაკომპლექტდა პირებით, რომლებიც საერთაშორისო სტატისტიკურ საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ, აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას კონფერენციის მუშაობაში და მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ოფიციალური სტატისტიკის განვითარების საქმეში.

ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის ბიურო წარმოადგენს კონფერენციის მმართველ ორგანოს. ის არის პლატფორმა, სადაც მიიღება ოფიციალური სტატისტიკის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ბიუროს მთავარი ფუნქციებია: კონფერენციის სამუშაო გეგმის განხილვა და დამტკიცება, ოფიციალური სტატისტიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა, საერთაშორისო სტატისტიკური თანამშრომლობის კოორდინაცია, ექსპერტთა და სამუშაო ჯგუფების მანდატების განსაზღვრა, ასევე ახალი სტატისტიკური სტანდარტებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

ახლადარჩეულ ბიუროს კანადის მთავარი სტატისტიკოსი ხელმძღვანელობს, რომლის წევრებიც გოგიტა თოდრაძესთან ერთად არიან ირლანდიის, ესტონეთის, სლოვენიის, ალბანეთის, მექსიკის და ავსტრალიის სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელები.

საქართველოს წარმომადგენლობა ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის ბიუროში წარმოადგენს ქვეყნის სტატისტიკური სისტემის საერთაშორისო აღიარებას და მისი ლიდერების მაღალი პროფესიონალიზმის დამადასტურებელ ფაქტს. ეს მიღწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საერთაშორისო სტატისტიკურ არენაზე ინტეგრაციისა და ევროპულ სტატისტიკურ სივრცეში მყარი პოზიციების დამკვიდრების კუთხით.

აღნიშნული არჩევნების შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს სტატისტიკის სისტემა აღიარებულია საერთაშორისო დონეზე და ითვლება სანდო პარტნიორად როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

ბიუროს საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით საქართველო მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ევროპისა და აზიის რეგიონის სტატისტიკური სისტემის განვითარებაზე. ქვეყანას მიეცა უნიკალური შესაძლებლობა, უშუალოდ ჩაერთოს საერთაშორისო სტატისტიკური პოლიტიკისა და სტანდარტების ჩამოყალიბების პროცესში.

სხვა საერთაშორისო აქტივობები

2025 წლის განმავლობაში, საქსტატი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში:

- საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ, მონაწილეობა მიიღო გაეროს სტატისტიკის კომისიის (UN Statistical Commission) 56-ე სესიაში.

გაეროს სტატისტიკის კომისია წარმოადგენს უმაღლესი დონის სამთავრობათაშორისო ფორმატს და სტატისტიკური საქმიანობების შესახებ საერთაშორისო დონეზე გადაწყვეტილებების მიმღებ უმაღლეს ორგანოს, რომელიც ზედამხედველობას უწევს გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD). ვიზიტის ფარგლებში, გოგიტა თოდრაძემ კომისიის წევრებს მოხსენებით მიმართა და მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პანელურ დისკუსიაში. მან დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია საქართველოს სტატისტიკის სისტემაში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებებისა და მიღწეული პროგრესის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2024 წლის მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერას. ამასთან, გოგიტა თოდრაძემ ისაუბრა სხვადასხვა მიმართულებით

არსებულ გამოწვევებზე, სამომავლო გეგმებსა და პრიორიტეტებზე.

• საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ მონაწილეობა მიიღო გაეროს სტატისტიკის სამსახურის (UNSD) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ქ. დუბაიში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გაიმართა. კონფერენციის ფარგლებში, ის მონაწილეობდა სხვადასხვა პანელურ დისკუსიასა და სამუშაო შეხვედრაში. დამსწრე საზოგადოების წინაშე ისაუბრა საქართველოში სტატისტიკის სისტემის განვითარების ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებზე და ასევე ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში ალტერნატიულ მონაცემთა წყაროების გამოყენების შესაძლებლობებზე. კონფერენციაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.



• საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ მონაწილეობა მიიღო აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის მაღალი დონის სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ინდოეთში, ქ. ნიუ-დელიში გაიმართა.

ღონისძიება გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD) და აზიისა და წყნარი ოკეანის სტატისტიკის ინსტიტუტის (UN SIAP) ორგანიზებით გაიმართა, სადაც შესაბამისი რეგიონის 16 ქვეყნის სტატისტიკის სამსახურის ხელმძღვანელი პირები მონაწილეობდნენ. მოხსენების და პანელურ დისკუსიებში მონაწილეობის გარდა, გოგიტა თოდრაძემ უხელმძღვანელა ერთ-ერთ სესიას, სადაც განიხილეს სტატისტიკის ეროვნული სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ უზრუნველყონ სტატისტიკის შესაბამისობა მუდმივად

ცვალებად მონაცემთა გარემოსთან და ეფექტიანად უპასუხონ ოფიციალური სტატისტიკის წარმოებასა და ხელმისაწვდომობაზე მზარდ მოთხოვნებს.

- საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის (CES) ბიუროს სხდომაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ოქტომბერში, ქ. ჟენევაში, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) შტაბ-ბინაში გამართა. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის ბიურო წარმოადგენს მის მმართველ ორგანოს სადაც მიიღება ოფიციალური სტატისტიკის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

გოგიტა თოდრაძე ბიუროს წევრად 2025 წლის ივნისში, 2 წლის ვადით აირჩიეს.

- საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ ყაზახეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დაარსებიდან 105 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფორუმში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ქ. ასტანაში გაიმართა.

საერთაშორისო ფორუმის თემას წარმოადგენდა „ეროვნული სტატისტიკის სისტემების ციფრული ტრანსფორმაცია“, რომლის ფარგლებშიც გოგიტა თოდრაძემ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პანელურ დისკუსიაში და მოხსენებით მიმართა მონაწილეებს. მოხსენებისას მან უცხოელ კოლეგებს გააცნო ქვეყნის სტატისტიკის სისტემაში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები და მიღწეული პროგრესი. ასევე, მან ისაუბრა სხვადასხვა მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე, სამომავლო გეგმებსა და პრიორიტეტებზე.

ფორუმში მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და პარტნიორი ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელები, ასევე დიპლომატიური კორპუსის, ბიზნეს სექტორისა და სამეცნიერო წრეების ადგილობრივი წარმომადგენლები.

• საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ, მოსახლეობისა და მიგრაციის სტატისტიკის საკითხებთან დაკავშირებულ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ორგანიზებით, ნოემბერში, ქ. ჟენევაში ჩატარდა. შეხვედრის მიმდინარეობისას საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა მონაწილეებს გაუზიარა ინფორმაცია 2024 წელს საქართველოში განხორციელებული მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის შესახებ, ისაუბრა მონაცემთა შეგროვების მეთოდების, აღწერის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, აგრეთვე საქსტატის მიერ დანერგილი სიახლეების შესახებ.

აღნიშნული შეხვედრა ყოველწლიურად იმართება და მასში 55-მდე ქვეყნის 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობს. შეხვედრას ესწრებოდნენ სტატისტიკის სამსახურების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და მაღალი თანამდებობის პირები.

• საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების სტატისტიკის ინსტიტუტის (UNSIAP) მმართველი საბჭოს 21-ე სესიასა და აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების ხელმძღვანელებისთვის გამართულ მენეჯმენტის სემინარში მიიღო მონაწილეობა, რომლებიც 2025 წლის დეკემბერში იაპონიაში, ქ. ჩიბასა და ქ. ტოკიოში ჩატარდა.

აღნიშნული შეხვედრები გაეროს სტატისტიკის სამსახურის (UNSD), გაეროს აზიისა და წყნარი ოკე-

ანის ქვეყნების სტატისტიკის ინსტიტუტის (UNSIAP) და გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის სტატისტიკის სამსახურის (UNESCAP) ორგანიზებით ჩატარდა. საქსტატის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიებში, ასევე მონაწილეებს პრეზენტაციის სახით საქართველოს გამოცდილება და საქსტატის სამომავლო გეგმები გააცნო.

• 2025 წლის ნოემბერში საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ირაკლი აფხაიძე, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), გარემოსდაცვითი სტატისტიკის გაერთიანებული სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ ორი წლის ვადით აირჩიეს. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის სესიები ყოველწლიურად იმართება და მასში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (UNECE, EUROSTAT, UNSD, UNEP, OECD, UNITAR), ევროპისა და აზიის ქვეყნების სხვადასხვა უწყებებისა და სამინისტროების 50-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობს.

• საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უზბეკეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული კომიტეტის დელეგაციას უმასპინძლა. ერთი კვირის განმავლობაში საქსტატის თანამშრომლები უზბეკ კოლეგებს თავიანთ გამოცდილებასა და სამუშაო პრაქტიკას უზიარებდნენ.

კერძოდ, ყურადღება გამახვილდა სტრატეგიულ საკითხებზე, მათ შორის სტატისტიკური სამუშაოე-

ბის დაგეგმვისა და კოორდინაციის, მონაცემთა ხარისხის და ალტერნატიული მონაცემთა წყაროების გამოყენებაზე.

- 2025 წელს საქსტატმა უმასპინძლა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტთა მისიას არაფორმალური ეკონომიკის შეფასების მიმართულებით, დასაქმების სტატისტიკის და ეროვნული ანგარიშების მონაცემების საფუძველზე.
- 2025 წლის მაისში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სამუშაო ვიზიტით ევროსტატის ექსპერტი იმყოფებოდა. ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო შედარებების პროგრამის (International Comparison Program (ICP)) ფარგლებში საქსტატის მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასება, ასევე გამოკვლევების მეთოდოლოგიის ნაწილში რეკომენდაციების გაცემა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ვიზიტები ევროსტატის ინიციატივით, საქსტატში ყოველწლიურად ხორციელდება.
- 2025 წელს ევროსტატის „საქართველოს, მოლოდვისა და უკრაინის ოფიციალური სტატისტიკისთვის ტექნიკური დახმარების“ პროექტის ფარგლებში საქსტატის 10-მდე თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ქ. ვილნიუსში (ლიეტუვა) და ლუქსემბურგში დაგემილ რამდენიმე სასწავლო კურსში.
- 2025 წლის იანვარში, ქ. ალმათიში (ყაზახეთის რესპუბლიკა) საერთაშორისო სავალუტო ფონდის კავკასიის, ცენტრალური აზიის და მონღოლეთის რეგიონული შესაძლებლობების განვითარების ცენტრის (IMF–CCAMTAC) ორგანიზებით ჩატარდა სამი სემინარი კონსოლიდირებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის წარმოებასა და დაუკვირვებადი ეკონომიკის შეფასებასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდნენ საქსტატის თანამშრომლები.
- 2025 წლის აპრილში, ქ. ჟენევაში, ჩატარდა სამომხმარებლო ფასების ინდექსების ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა (Meeting of the Group of Experts on Consumer Price Indices), რომელსაც ესწრებოდა საქსტატის ფასების სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი. შეხვედრის განმავლობაში მან უხელმძღვანელა ერთ-ერთ სამუშაო სესიას, მონაცემთა ახალი წყაროების და შეგროვების ახალი მეთოდების საკითხებზე.
- 2025 წლის აპრილში, ქ. ჟენევაში (შვეიცარია) გაიმართა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მიერ ორგანიზებული ეროვნული ანგარიშების ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქსტატის ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტმა.

- 2025 წლის აპრილში, ქ. ანკარაში (თურქეთი) აზიისა და წყნარი ოკეანიის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (ESCAP), გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდის (UNFPA) და ისლამური ქვეყნების სტატისტიკური, ეკონომიკური და სოციალური კვლევებისა და სასწავლო ცენტრის (SESRIC) ორგანიზებით გაიმართა ცენტრალური აზიის ქვეყნების სამოქალაქო რეგისტრატორების პირველი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი;
- 2025 წლის ივლისში საქსტატმა პირველად უმასპინძლა ევროსტატისა და OECD-ის მიერ ინიცირებულ მისიას უძრავი ქონების რენტის გამოკვლევის საკითხზე. მისიის შედეგად, ავსტრიელი ექსპერტის მონაწილეობით, საქსტატის ფასების სტატისტიკის დეპარტამენტმა ჩაატარა უძრავი ქონების სააგენტოების საპილოტე გამოკვლევა. მისი მიზანია თბილისის მასშტაბით საცხოვრებელი უძრავი ქონების დაქირავების ღირებულების დადგენა. ეს მონაცემი წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს ქვეყნებს შორის ცხოვრების ღირებულების ობიექტური შედარებისთვის და ერთ-ერთი წინაპირობაა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში.
- 2025 წლის ოქტომბერში, ქ. ბრიუსელში (ბელგია) გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ორგანიზებით ჩატარდა სემინარი ეროვნული ანგარიშების სისტემის 2025 წლის მეთოდოლოგიის (SNA 2025) დანერგვასა და სექტორულ ანგარიშებთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქსტატის ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის წარმომადგენლები.
- 2025 წლის ოქტომბერში, ქ. ვარშავაში (პოლონეთი) ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის სამდივნოს (EGRISS) ორგანიზებით გაიმართა სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის წევრების სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი;
- 2025 წლის ნოემბერში, ქ. ჟენევაში (შვეიცარია) გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ორგანიზებით გაიმართა მოსახლეობისა და მიგრაციის სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი;
- 2025 წლის ნოემბერში, ქ. სოფიაში (ბულგარეთი) ტრანსპორტის საერთაშორისო ფორუმისა და ევროსტატის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია მონაცემებით მართული გადაწყვეტილების მიღების შესახებ ურბანული ტრანსპორტირების დარგში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა.
- 2025 წლის ნოემბერში, ქ. რიგაში (ლატვია), ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოსა (IEA) და ევროკავშირის ორგანიზებით გაიმართა EU4Energy პოლიტიკის ფორუმი „EU4Energy: ენერგეტიკული სტატისტიკის თანამშრომლობის ქსელის შეხვედა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელმა.
- 2025 წლის ნოემბერში, უზბეკეთის რესპუბლიკის ეროვნული სტატისტიკის კომიტეტში, ექსპერტული მისიით იმყოფებოდნენ საქსტატის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მოსახლების აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლები. მისია მოიცავდა მოსახლეობის აღწერის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ საქართველოს გამოცდილების გაზიარებას, ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და პროგრამული უზრუნველყოფის, პროგრამის ტესტირების, აღწერის საველე სამუშაოების დაგეგმვის, შესაძლებლობების განვითარებისა და სხვა მეთოდოლოგიური საკითხების მიმართულებით.

გეგმები 2026 წლისთვის

თავი VI

გეგმები 2026 წლისთვის

2026 წლის პირველ ნახევარში დაგეგმილია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ოფიციალური სტატისტიკის სამოდელო კანონის (GLOSS) გარკვეულ მუხლებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

2026 წლის განმავლობაში დაგეგმილია ახალი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა, ახალი გამოკვლევების ჩატარება და დამატებითი დეტალიზებული მაჩვენებლების წარმოება, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს სტატისტიკის არეალის გაფართოებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების საბაზისო ინდიკატორების გაანგარიშების თვალსაზრისით.

საქსტატის გეგმა ასევე ითვალისწინებს, მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებას, ადმინისტრაციული მონაცემების მაქსიმალურ გამოყენებას და მეტ ინვესტირებას ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც რესურსების ეფექტიანად გამოყენების, ისე რესპონდენტთა ტვირთის შემსუბუქების თვალსაზრისით.

მომხმარებელთა მხრიდან სტატისტიკურ მონაცემებზე გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად, დღის წესრიგში დადგა მონაცემთა ალტერნატიული წყაროების მოძიებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხები, რომელთა განვითარების მიმართულებით, წლის განმავლობაში არაერთი აქტივობაა დაგეგმილი.

2026 წლის განმავლობაში დაგეგმილია სტატისტიკური ბიზნესს პროცესის სტანდარტული მოდელის (GSBPM) დანერგვასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება საქსტატის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მონაცემთა გავრცელება ისეთი ფორმებით, რომლებიც აადვილებს მათ გამოყენებას და გააუმჯობესებს დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს ნებისმიერ დონეზე.

2026 წელს დაგეგმილია მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების გამოქვეყნება. ამ მიმართულებით მიმდინარეობს აღწერის შედეგების ანალიზი და მონაცემთა ბაზების დამუშავება.



2026 წელს საქსტატი აქტიურ მუშაობას გეგმავს შემდეგ მიმართულებებზე:

- ეროვნული ანგარიშების სისტემის (System of National Accounts – SNA) მეთოდოლოგიიდან ევროპული ანგარიშების სისტემის (European System of Accounts - ESA) მეთოდოლოგიაზე გადასვლის სამუშაოების განხორციელება;
- სატელიტური ანგარიშების (ციფრული რესურსებისა და გამოყენების ცხრილები, კულტურის სატელიტური ანგარიშები) წარმოების განვითარება;
- არაფორმალური ეკონომიკის შეფასებასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება;
- საერთაშორისო შედარებების პროგრამის (International Comparison Program – ICP) ფარგლებში მონაცემთა ბაზების იდენტიფიცირება და ანალიზი. ამასთან, დაგეგმილია საქსტატის მონაწილეობა ICP-ის საკითხებზე ორგანიზებულ რამდენიმე საერთაშორისო დონის შეხვედრაში, სამუშაო პროცესში ჩვენი ქვეყნის სრულფასოვანი ჩართვის მიზნით. საქსტატის მიზანს წარმოადგენს ამ მიმართულებით 2027 წლისთვის ევროსტატის სამუშაო გრაფიკთან და მეთოდოლოგიასთან სრული ჰარმონიზება;
- მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული წყაროებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შემდგომი განვითარება (ვებ-გვერდიდან მონაცემების ავტომატური ჩამოტვირთვის (Web Scraping) პროცესის ოპტიმიზაცია, ასევე სკანერული მონაცემების გამოყენების არეალის გაფართოება);
- მომსახურების მწარმოებელთა ფასების ახალი ინდექსების დანერგვა;
- ფასების სტატისტიკაში ახალ კლასიფიკატორზე (COICOP 2018) გადასვლისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება;
- 2024 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგების გამოქვეყნება;
- სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევისათვის სრულიად ახალი გენერალური ერთობლიობის ფორმირება 2024 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემთა ბაზის საფუძველზე;

- ქალის და კაცის სტატისტიკის პრიორიტეტული ინდიკატორების იდენტიფიცირება და მათი გაანგარიშება არსებული წყაროების საფუძველზე;
- ხელფასების სტრუქტურის გამოკვლევის მონაცემთა დამუშავება, ანალიზი და შედეგების გაანგარიშება;
- შრომის სტატისტიკის მიმართულებით 2 ახალი მაჩვენებლის გაანგარიშება და გავრცელება;
- სამუშაო ძალის გამოკვლევაში დასაქმების სტატუსის ახალი საერთაშორისო კლასიფიკაციის ICSE-18 დანერგვისთვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება;
- ცხოვრების დონის მაჩვენებლების (სიღარიბე, შინამეურნეობების ხარჯები) გაანგარიშება COICOP 2018-ის გამოყენებით;
- შინამეურნეობების შემოსავლების და ხარჯების გამოკვლევის და სამუშაო ძალის გამოკვლევის შერჩევის ჩარჩოს განახლება 2024 წლის მოსახლეობის აღწერის ბაზის საფუძველზე;
- დროის გამოყენების გამოკვლევის ჩატარება აზიის განვითარების ბანკის (ADB) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით;
- სამუშაოსთან დაკავშირებული უნარების შესახებ გამოკვლევის შედეგების გავრცელება;
- ადმინისტრაციულ წყაროზე დაფუძნებული მონაცემების დამუშავება და გავრცელება ტაქსების საქმიანობის შესახებ;
- ტრანსპორტის დარგში განახლებადი ენერგიის მიმართულებით დამატებითი ინდიკატორების წარმოებისთვის მეთოდოლოგიური ჩარჩოზე მუშაობა;
- ეკონომიკური საქმიანობის სახეების NACE Rev. 2.1 კლასიფიკატორზე გადასვლისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;
- ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებით, NACE კლასიფიკატორის შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობის კოდის განსაზღვრის პორტალის შექმნა;
- ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებით, საქსტატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჩატ-ბოტის შექმნა;
- რეგიონულ დონეზე მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება;
- ბრუნვის რაოდენობის (Turnover volume) ინდექსების წარმოების დაწყება;
- ადგილობრივ ტურიზმში არმონაწილეობის მიზეზების შესახებ ახალი ინდიკატორის წარმოება;
- ტურისტული ვიზიტების ხანგრძლივობის შესახებ გამოქვეყნებული კვარტალური მაჩვენებლის დეტალიზებული სახით წარმოების დაწყება;
- იმპორტირებული საქონლის ღირებულების გადაანგარიშება CIF -იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებიდან FOB - ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში და მონაცემების წარმოება.

მსგავსი ტიპის ღონისძიებები მნიშვნელოვნად გაზრდის ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის ხარისხს, გააუმჯობესებს მომხმარებელთა ცოდნას სტატისტიკის სფეროში და შეამცირებს სტატისტიკური მონაცემების არასწორი ინტერპრეტაციის რისკებს.

საქსტატის გეგმა ითვალისწინებს ასევე მუდმივ განვითარებას და გაუმჯობესებას. ჩვენი მიზანია, მომხმარებლებთან აქტიური დიალოგით და მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობით, ქვეყანაში ჩამოყალიბდეს სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და გავრცელების კიდევ უფრო ქმედითი და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც მომხმარებლებში გაამყარებს რწმენას, რომ საქსტატის მიერ წარმოებული სტატისტიკა არის სანდო, ობიექტური და დამოუკიდებელი.

დანართი 1

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტრუქტურა



www.geostat.ge

დანართი 2

საქსტატის საშტატო განრიგი - 2025 წელი

№	თანამდებობების ჩამონათვალი	კოეფიციენტი	რაოდენობა	თვის ანაზღაურების ფონდი (ლარი)
1	აღმასრულებელი დირექტორი	6.3	1	9198
2	აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე	5.6	2	16352
3	დეპარტამენტის უფროსი	4.4	11	70664
4	სამმართველოს უფროსი-1	3.5	1	5110
5	სამმართველოს უფროსი-2	3.1	3	13578
6	სამმართველოს უფროსი-3	2.8	19	77672
7	თბილისის სტატისტიკის ბიუროს უფროსი	3.3	1	4818
8	ბიუროს უფროსი-1	2.8	8	32704
9	ბიუროს უფროსი-2	2.5	1	3650
10	ბიუროს უფროსი-3	2.2	1	3212
11	მთავარი სპეციალისტი-IT1	2.8	1	4088
12	მთავარი სპეციალისტი-1	2.3	6	20148
13	მთავარი სპეციალისტი-2	2.2	2	6424
14	მთავარი სპეციალისტი-3	2.1	5	15330
15	მთავარი სპეციალისტი-4	2.0	3	8760
16	მთავარი სპეციალისტი-5	1.9	4	11096
17	მთავარი სპეციალისტი-6	1.8	8	21024
18	მთავარი სპეციალისტი-7	1.7	5	12410
19	მთავარი სპეციალისტი-8	1.6	15	35040
20	მთავარი სპეციალისტი-9	1.5	1	2190
21	მთავარი სპეციალისტი-10	1.4	1	2044
22	უფროსი სპეციალისტი-IT1	2.3	1	3358
23	უფროსი სპეციალისტი-1	1.9	7	19418
24	უფროსი სპეციალისტი-2	1.8	1	2628
25	უფროსი სპეციალისტი-3	1.7	8	19856
26	უფროსი სპეციალისტი-4	1.6	4	9344
27	უფროსი სპეციალისტი-5	1.5	13	28470
28	უფროსი სპეციალისტი-6	1.4	16	32704
29	სპეციალისტი-IT1	1.7	1	2482
30	სპეციალისტი-IT2	1.5	1	2190
31	იურისტი-შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	1.5	1	2190
32	სპეციალისტი-1	2.0	1	2920
33	სპეციალისტი-2	1.6	2	4672
34	სპეციალისტი-3	1.4	9	18396
35	სპეციალისტი-4	1.3	9	17082
36	სპეციალისტი-5	1.2	2	3504
37	მთავარი სპეციალისტი (რეგიონები)	1.4	5	10220
38	მთავარი სპეციალისტი (რეგიონები)	1.3	3	5694
39	უფროსი სპეციალისტი (რეგიონები)	1.2	14	24528
40	სპეციალისტი (რეგიონები)	1.1	14	22484
41	სპეციალისტი (რეგიონები)	1.0	2	2920
	ჯამში:		**213**	**610572**

შენიშვნა: სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის თანამხად თანამდებობრივი სარგოს საბაზისო განაკვეთი შეადგენს 1460 ლარს, რომლის ნამრავლით კოეფიციენტზე მიიღება შესაბამისი თანამდებობრივი სარგო

დანართი 3

საქსტატის ძირითადი პროდუქტები და მეთოდოლოგია

კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას. შესაბამისად, საქსტატი მის მიერ წარმოებულ ყველა სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარებით.

საქსტატის მიერ, სტატისტიკური გამოკვლევებისა და ადმინისტრაციული მონაცემების საფუძველზე, ხორციელდება სხვადასხვა სახის პროდუქტების წარმოება, რომელიც დაჯგუფებულია რამდენიმე მიმართულებად:

1. ეროვნული ანგარიშები: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატები; რესურსების და გამოყენების ცხრილები; დანახარჯები-გამოშვების ცხრილი;
2. საგარეო სექტორის სტატისტიკა: საქონლით საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა;
3. ფასების სტატისტიკა: სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსები, იმპორტის ფასების ინდექსი, მშენებლობის ღირებულების ინდექსი, საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი;
4. სოციალური სტატისტიკა: ცხოვრების დონის მაჩვენებლები (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, სიღარიბის მაჩვენებლები და ჯინის კოეფიციენტები, საარსებო მინიმუმი), შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები, სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა), ხელფასების სტატისტიკის მაჩვენებლები, განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და სამართლებრივი სფეროს, ასევე ქალისა და კაცის სტატისტიკის მაჩვენებლები;
5. მოსახლეობა და დემოგრაფია: მოსახლეობის რიცხოვნობა და სტრუქტურა, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებლები, დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება და მიგრაცია;
6. ბიზნეს სტატისტიკა: ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს სექტორის საქმიანობის ამსახველი ძირითადი მაჩვენებლები (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა და ა.შ), მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის და მომსახურების სფეროს სტატისტიკა, ტურიზმის სტატისტიკა;
7. სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკა: ერთწლიანი კულტურების ფართობი, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა, მრავალწლიანი კულტურების წარმოება, პირუტყვის და ფრინველის რაოდენობა, მეცხოველეობის პროდუქციის მაჩვენებლები, სასუქების და პესტიციდების გამოყენება, სასურსათო ბალანსები. გარემოს სტატისტიკის მონაცემები მიწის, წყლის, ტყის რესურსებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ; მონაცემები ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და სტიქიური მოვლენების შესახებ.

დანართი 3

სტატისტიკური მონაცემების/პროდუქტების წარმოებისას საქსტატი 2025 წელს ხელმძღვანელობდა შემდეგი მეთოდოლოგიებით:

ეროვნული ანგარიშები

1. „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2008“ (SNA - System of National Accounts 2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ბრიუსელი/ლუქსემბურგი, ნიუ იორკი, პარიზი, ვაშინგტონი, 2008 წელი;
2. კვარტალური ეროვნული ანგარიშების სახელმძღვანელო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2017 წელი;
3. „დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვა“ (Measuring the Non-Observed Economy), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2002 წელი;
4. „რესურსების, გამოყენებისა და დანახარჯები-გამოშვების ცხრილების შედგენის სახელმძღვანელო“ (Handbook on Supply, Use and Input-Output Tables with Extensions and Applications), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი, 2018 წელი.

საგარეო სექტორის სტატისტიკა

1. „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა 2010“ (International Merchandise Trade Statistics), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2011 წელი;
2. საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო (Balance of Payments and International Investments Position Manual), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2008 წელი, მეექვსე გამოცემა;
3. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება“ (OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2008 წელი, მეოთხე გამოცემა;
4. „პირდაპირი ინვესტიციების კოორდინირებული გამოკვლევის სახელმძღვანელო“ (The Coordinated Direct Investment Survey Guide), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2015 წელი;
5. „საგარეო ვალის სტატისტიკა“ (External Debt Statistics), ევროსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე – UNCTAD, ვაშინგტონი, აშშ, 2003 წელი.
6. „მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სახელმძღვანელო 2010“ -გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.

დანართი 3

ფასების სტატისტიკა

1. „სამომხმარებლო ფასების ინდექსის სახელმძღვანელო: კონცეფციები და მეთოდები“ (Consumer Price Index Manual: Concepts and Methods), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), 2020;
2. „სამომხმარებლო ფასების ინდექსების წარმოების პრაქტიკული სახელმძღვანელო“ (Practical Guide to Producing Consumer Price Indices), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2009;
3. „სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, ევროსტატი, ლუქსემბურგი, 2018;
4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ფასების სტატისტიკის შესახებ, 1993-2012;
5. „მწარმოებელთა ფასების ინდექსის სახელმძღვანელო: თეორია და პრაქტიკა“ (Producer Price Index Manual: Theory and Practice), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2004;
6. ექსპორტის და იმპორტის ფასების ინდექსის სახელმძღვანელო (Export and Import Price Index Manual), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), 2009;
7. „მშენებლობის ფასების ინდექსები - წყაროები და მეთოდები“, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ევროკავშირის სტატისტიკის ოფისი (ევროსტატი);
8. „საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსების სახელმძღვანელო“ (Handbook on Residential Property Prices Indices (RPPIs)), ევროსტატი, 2013 წელი;
9. „მშენებლობის ფასების ინდექსების მეთოდოლოგიური ასპექტები“, ევროსტატი, 1996;
10. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2013 წელი;
11. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა და იმპორტის ფასების ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2020 წელი;
12. მშენებლობისთვის შეძენილი მასალების ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2017 წელი;
13. მშენებლობის ღირებულების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2022 წელი;
14. მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2020 წელი;
15. საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2021 წელი;
16. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2023 წელი.

დანართი 3

სოციალური სტატისტიკა

1. შრომის სტატისტიკოსთა მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია „შრომითი საქმიანობის, დასაქმებისა და არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის სტატისტიკის შესახებ“ (Resolution concerning statistics of work, employment and labour underutilization - adopted by the 19th International Conference of Labour Statisticians), 2013 (გლობალური მითითებები სამუშაო ძალის გამოკვლევის დიზაინისათვის - The global reference for labour force survey design, 2018);
2. შინამეურნეობებისა და ცალკეული ინდივიდების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგია (Manual for Measuring ICT Access and Use by Households and Individuals), ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო გაერთიანება, ჟენევა, შვეიცარია, 2020 წელი;
3. ევროპის სახელმძღვანელო შინამეურნეობებისა და ინდივიდების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების სტატისტიკის შესახებ (European Compilers' Manual for Statistics on the Use of ICT in Households and by Individuals) ევროსტატი, 2023 წელი;
4. შინამეურნეობების გამოკვლევების სახელმძღვანელო (Handbook of Household Surveys), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 1984 წელი;
5. შინამეურნეობების შერჩევითი გამოკვლევები განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (Household Sample Surveys in Developing and Transition Countries), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2005 წელი;
6. „ხელფასების სტატისტიკის ინტეგრირებული სისტემა“ (An Integrated System of Wages Statistics), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ჟენევა, შვეიცარია, 1979 წელი;
7. ხელფასების სტატისტიკის ინტეგრირებულ სისტემასთან დაკავშირებული რეზოლუცია, მიღებულია შრომის სტატისტიკოსთა მე-12 საერთაშორისო კონფერენციაზე (Resolution concerning an integrated system of wages statistics, adopted by the Twelfth International Conference of Labour Statisticians), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 1973 წელი;
8. რეზოლუცია დასაქმებასთან დაკავშირებული შემოსავლის გაზომვის შესახებ (Resolution concerning the measurement of employment-related income, adopted by the Sixteenth International Conference of Labour Statisticians), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 1998 წელი;
9. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისის (UNODC) რეკომენდაციები;
10. UNESCO სტატისტიკის ინსტიტუტის რეკომენდაციები განათლების, მეცნიერების და კულტურის სტატისტიკის სფეროში;
11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) რეკომენდაციები ქალისა და კაცის სტატისტიკის სფეროში.

დანართი 3

მოსახლეობის და დემოგრაფიის სტატისტიკა

1. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2020 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერისთვის (Conference of European Statisticians Recommendations for the 2020 Censuses of Population and Housing, UN), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი, ჟენევა, 2015 წელი;
2. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2010 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერისთვის (Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing, UN), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი, ჟენევა, 2006 წელი;
3. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის პრინციპები და რეკომენდაციები (Principles and Recommendations for a Vital Statistics System, UN), მესამე გადახედვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2014 წელი;
4. სახელმძღვანელო ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის ანგარიშის მოსამზადებლად (Guidelines and Template for Developing a Vital Statistics Report, UN ESCAP, Statistics Norway), გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისია, ნორვეგიის სტატისტიკის სამსახური, ბანგკოკი, 2018 წელი;
5. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი (Concise Demographic Encyclopedic Dictionary, UNFPA), მესამე გამოცემა, გაეროს მოსახლეობის ფონდი, თბილისი, 2012 წელი.

ბიზნეს სტატისტიკა

1. სტატისტიკური მოთხოვნების კრებული, ევროსტატი, 2004, 2009, 2018, 2020, 2023, 2024 და 2025 წლების გამოცემები (Statistical Requirements Compendium, Eurostat, 2004, 2009, 2018, 2020, 2023, 2024 and 2025 Editions);
2. ევროპული ბიზნეს სტატისტიკის სახელმძღვანელო, ევროსტატი, 2021 წელი (European Business Statistics Manual, Eurostat, 2021);
3. მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია — განმარტებები და რეკომენდაციები, ევროსტატი, 2006 წელი (Methodology of Short-Term Business Statistics — Interpretation and Guidelines, Eurostat, 2006);
4. მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია — თანმხლები დოკუმენტები, ევროსტატი, 2006 წელი (Methodology of Short-Term Business Statistics — Associated Documents, Eurostat, 2006);
5. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ევროპის სტრუქტურული ბიზნეს სტატისტიკის შესახებ, ევროსტატი, 2021 წლის გამოცემა (Methodological manual on European Structural Business Statistics,

Eurostat, 2021 Edition);

6. ევროპული ბიზნეს სტატისტიკის სახელმძღვანელო მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკისთვის, ევროსტატი, 2021 წლის გამოცემა (European Business Statistics Compilers Manual for Short-Term Business Statistics, Eurostat, 2021 Edition);

7. ევროპის ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკისთვის, ევროსტატი, 2021 წლის გამოცემა (European Business Statistics Methodological Manual for Short-Term Business Statistics, Eurostat, 2021 edition);

8. საერთაშორისო რეკომენდაციები მშენებლობის სტატისტიკისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახური, 1997 წელი (International Recommendations for Construction Statistics, UNSD, 1997);

9. ახსნა-განმარტებები სამშენებლო საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევისათვის, გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახური, 1997 წელი;

10. ენერგეტიკის სტატისტიკის სახელმძღვანელო, ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო, 2005 წელი (Energy Statistics Manual, Eurostat, OECD, IEA, 2005);

11. ენერგეტიკის სტატისტიკის საერთაშორისო რეკომენდაციები — გაეროს სტატისტიკის განყოფილება, 2018 წელი (International Recommendations for Energy Statistics (IRES) — UNSD, 2018);

12. გაერთიანებული ორგანიზაციების ინიციატივა მონაცემებისათვის — ნავთობის სახელმძღვანელო (Joint Organisations Data Initiative — JODI Oil Manual);

13. გაერთიანებული ორგანიზაციების ინიციატივა მონაცემებისათვის — გაზის სახელმძღვანელო (Joint Organisations Data Initiative — JODI Gas manual);

14. შინამეურნეობებში ენერგიის მოხმარების სტატისტიკის სახელმძღვანელო, 2013 წელი (Manual for statistics on energy consumption in households, 2013);

15. ენერგოეფექტურობის ინდიკატორები: სტატისტიკის საფუძვლები — ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო, 2014 წელი (Energy Efficiency Indicators: Fundamentals on Statistics — International Energy Agency, 2014);

16. საერთაშორისო რეკომენდაციები ვაჭრობის სტატისტიკისათვის, გაეროს სტატისტიკის სამსახური, 2009 წელი (International Recommedations for Distributive Trade Statistics, UNSD, 2009);

17. სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მეთოდოლოგია, ევროსტატი, 2008 და 2016 წლების გამოცემები (Road Freight Transport Methodology, Eurostat, 2008 and 2016 Editions);

დანართი 3

18. მომსახურების სტატისტიკის განვითარება: „მომსახურების სტატისტიკა მოკლევადიან ბიზნეს სტატისტიკაში“ სემინარის მასალები, ევროსტატი, 2002 წელი (Evolution of Service Statistics: Proceedings of the seminar on Service Statistics Within Short-term Business Statistics, Eurostat, 2002);

19. ტრანსპორტის სტატისტიკის გლოსარიუმი, მეხუთე გამოცემა, ევროსტატი, 2019 წელი (Glossary for Transport Statistics, 5th Edition, Eurostat, 2019);

20. საზღვაო ტრანსპორტის სტატისტიკის საცნობარო სახელმძღვანელო, ვერსია 4.3; ევროსტატი, 2022 წელი (Reference Manual on Maritime Transport Statistics, Version 4.3; Eurostat, 2022);

21. ბიზნეს რეგისტრი: რეკომენდაციების სახელმძღვანელო, ევროსტატი, 2010 წელი (Business Register: Recommedations Manual, Eurostat, 2010);

22. ევროსტატის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო ბიზნეს დემოგრაფიის სტატისტიკაზე – ევროსტატი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2007 წელი (Eurostat – OECD Manual on Business Demography Statistics, 2007);

23. ევროპული ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო სტატისტიკური ბიზენს რეგისტრებისთვის – ევროსტატი, 2021 (European Business Statistics Methodological Manual for Statistical Business Registers – Eurostat, 2021);

24. სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის სახელმძღვანელო, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, 2015 წელი (Guidelines on Statistical Business Registers, UNECE, 2015);

25. სტატისტიკური ერთეულები, გაერო, ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი. სტატისტიკის განყოფილება, 2007 წელი (STATISTICAL UNITS, United Nations, Department of Economic and Social Affairs, Statistics Division, 2007);

26. ადმინისტრაციული წყაროების გამოყენება ბიზნეს სტატისტიკის მიზნებისათვის: საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო, ევროსტატი, 1999 წელი (Use of Administrative Sources for Business Statistics Purposes: Handbook on Good Practices, Eurostat, 1999);

27. საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის 2008, გაერო, ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, სტატისტიკის განყოფილება, 2010 წელი (International Recommendations for Tourism Statistics 2008, United Nations, Department of Economic and Social Affairs, Statistics Division, 2010);

28. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ტურიზმის სტატისტიკისთვის, ვერსია 3.1, ევროსტატი, 2014 წელი (Methodological Manual for Tourism Statistics, Version 3.1, Eurostat, 2014);

დანართი 3

29. ტურიზმის სატელიტური ანგარიში: რეკომენდებული მეთოდოლოგიური ჩარჩო 2008; გაერო, 2010 წელი (Tourism Satellite Account: Recommended Methodological Framework 2008; United Nations, 2010);

30. საგზაო სატვირთო ტრანსპორტის კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგიები წევრ ქვეყნებში, თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ქვეყნებში და კანდიდატ ქვეყნებში, ევროსტატი, 2021 წელი (Methodologies used in road freight transport surveys in Member States, EFTA and Candidate Countries, Eurostat, 2021);

31. სარკინიგზო ტრანსპორტის სტატისტიკის საცნობარო სახელმძღვანელო, ვერსია 10.5, იანვარი, 2022, ევროსტატი (Reference Manual on Rail Transport Statistics, Version 10.5, January 2022, Eurostat);

32. საჰაერო ტრანსპორტის სტატისტიკის საცნობარო სახელმძღვანელო, ვერსია 15, ევროსტატი, 2021 (Reference Manual on Air Transport Statistics, Version 15, Eurostat, 2021);

33. ევროპული ბიზნესის სტატისტიკის სახელმძღვანელო საწარმოებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და ელექტრონული კომერციისთვის, ევროსტატი, 2023 წლის გამოცემა (European Businesses Statistics Compilers Manual for ICT Usage and E-Commerce In Enterprises, Eurostat, 2023 Edition);

34. ინოვაციის შესახებ მონაცემთა შეგროვების, გავრცელებისა და გამოყენების ოსლოს 2018 წლის სახელმძღვანელო, ევროსტატი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მეოთხე გამოცემა, 2018 წელი (Oslo Manual 2018 — Guidelines for Collecting, Reporting and Using Data on Innovation, 4th Edition, Eurostat, OECD, 2018);

35. ევროპული ბიზნეს სტატისტიკის სახელმძღვანელო — დინამიკური გამოცემა, ევროსტატი, 2021 წელი (European Business Statistics Manual — Dynamic Edition, Eurostat 2021).

სოფლის მეურნეობის სტატისტიკა

1. „ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების სისტემა, ტ.1 - რეკომენდაციები სასოფლო სამეურნეო აღწერათა პროგრამისათვის“. FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია # 11, (A System of Integrated Agricultural Censuses and Surveys, Vol. 1 World Programme for the Census of Agriculture, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) რომი, 2005 წელი;

2. „მსოფლიო პროგრამა სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის 2020“, FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია #15, ტ.1 (World Programme for the Census of Agriculture 2020, FAO, Vol. 1), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომი, 2017 წელი;

3. სახელმძღვანელო თევზჭერისა და აკვაკულტურის სტატისტიკის გაუმჯობესებისთვის. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), 2015 წელი;

დანართი 3

4. გაფრქვევების მონაცემების ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპები შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ (ECE/EB.AIR/97), 2009 წელი;

5. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო ევროპისათვის (მეორე გამოცემა);

6. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სახელმძღვანელო: გლობალური განახლება 2005 წელი;

7. მონრეალის პროტოკოლის ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების სახელმძღვანელო, მეცხრე გამოცემა, UNEP 2012 წელი;

8. მონრეალის პროტოკოლის მონაცემთა ანგარიშგების სახელმძღვანელო, UNEP 1999 წელი;

9. წლიური ინვენტარიზაციის განახლებული სახელმძღვანელო 14/CP.11 გადაწყვეტილების დებულებების გათვალისწინებით, UNFCCC;

10. სოფლის მეურნეობის გარემოსდაცვითი ინდიკატორები, ტ.3 მეთოდები და შედეგები, OECD;

11. დაცული ტერიტორიების მართვის კატეგორიების გამოყენების სახელმძღვანელო, IUCN (International Union for Conservation of Nature);

12. მეთოდოლოგიური მითითებები გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) გარემოს დაცვითი მაჩვენებლების წარმოებისთვის;

13. მატერიალური ნაკადების ანგარიშის სახელმძღვანელო, EUROSTAT.

საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული
სამსახურის მიერ

2025 წელს

გამოქვეყნებული ძირითადი პროდუქტები

დანართი 4

მთლიანი შიდა პროდუქტი, 2025 წელი

(წინასწარი მონაცემები)

2025 წლის წინასწარი მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში 104 598.1 მლნ. ლარს გაუტოლდა, რაც 12.4 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 2025 წელს, წინა წელთან შედარებით 7.5 პროცენტი შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის პროცენტული ცვლილება 2025 წელს 4.6 პროცენტით განისაზღვრა.

	2024	2025*
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	93 022.3	104 598.1
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	34 189.4	38 143.6
მშპ ერთ სულზე (ლარი)	25 144.2	28 235.4
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	9 241.5	10 296.5
რეალური მშპ-ის ზრდა (%)	9.7	7.5
მშპ-ის დეფლატორის პროცენტული ცვლილება (%)	4.9	4.6

* წინასწარი მონაცემები

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და
დეფლატორის პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით

(პროცენტი)



* წინასწარი მონაცემები

დანართი 4

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (14.8 პროცენტი) და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (9.3 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (9.1 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაცია (8.0 პროცენტი), მშენებლობა (8.0 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (6.7 პროცენტი), განათლება (6.4 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (6.1 პროცენტი), სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა (5.9 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა
2025* წელი



* წინასწარი მონაცემები

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

დანართი 4

2025 წელს წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: ინფორმაცია და კომუნიკაცია (28.7 პროცენტი), განათლება (24.5 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (9.3 პროცენტი), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (12.9 პროცენტი), საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (3.8 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (8.9 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (5.0 პროცენტი).

კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (-5.7 პროცენტი), ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება (-4.5 პროცენტი).

ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა მიმდინარე ფასებში ასახულია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე



*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

ინფლაცია საქართველოში, 2025 წლის დეკემბერი

2025 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -0.2 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 4.0 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას[1], აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2025 წლის დეკემბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის[2] მაჩვენებელი 1.6 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2025 წლის დეკემბრის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.



* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

დანართი 4

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 8.8 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 2.98 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია ქვეჯგუფებზე: თევზეული (18.4 პროცენტი), ხილი და ყურძენი (15.0 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (14.3 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (10.1 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (10.1 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (8.2 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (7.6 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (7.0 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (6.1 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (0.1 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში ფასები მომატებულია 7.0 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.56 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (9.1 პროცენტი), საავადმყოფოების მომსახურების (9.0 პროცენტი) და სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობის (5.3 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 4.4 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიურ ინდექსში 0.28 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (7.3 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (1.3 პროცენტი).

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



დანართი 4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2025 წელი

(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2025 წელს 1 688.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7.6 პროცენტით მეტია 2024 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელზე. ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი კომპონენტის: სააქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის მაჩვენებლის ზრდით.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2020-2025 წლებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2020-2025 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით 2020-2025 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

	2020	2021	2022	2024	2024	2025*
სულ	**596.2**	**1 264.9**	**2 224.2**	**1 928.5**	**1 569.3**	**1 688.7**
მათ შორის:						
სააქციო კაპიტალი	48.4	239.4	599.1	1 242.3	521.8	601.8
რეინვესტიცია^	500.4	771.4	1 380.7	1 592.2	1 346.7	1 397.8
სავალო ვალდებულებები^^	47.3	254.1	244.4	-906.0	-299.2	-310.9

*წინასწარი მონაცემები.

^ რეინვესტიცია - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.
^^ სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2020-2025 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

2025 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა:

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2025 წლის მიხედვით
(მლნ. აშშ დოლარი)

	2020	2021	2022	2023	2024	2025*
სულ	**596.2**	**1 264.9**	**2 224.2**	**1 928.5**	**1 569.3**	**1 688.7**
მათ შორის:						
გაერთიანებული სამეფო	284.8	584.9	656.8	365.2	431.1	334.2
თურქეთი	80.3	96.9	56.0	107.1	110.3	180.8
მალტა	49.5	-2.8	39.3	98.9	191.7	173.7
აშშ	99.0	21.2	178.8	186.2	71.3	158.1
აზერბაიჯანი	-16.3	3.4	5.1	99.0	83.9	143.9
ნიდერლანდები	211.4	162.9	199.5	367.2	230.9	91.9
ესპანეთი	2.9	14.4	360.5	20.6	-191.0	75.4
რუსეთი	43.0	87.5	108.7	116.9	71.4	69.6
ისრაელი	13.3	27.6	36.1	24.6	52.3	65.0
გერმანია	36.5	37.8	33.8	25.7	56.2	62.8
დანარჩენი ქვეყნები	-208.2	231.0	549.5	517.0	461.2	333.3

*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 40.8 პროცენტი შეადგინა.

ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს ქვემოთ მოცემული სექტორული დიაგრამა. პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება 19.8 პროცენტით, მეორეზე - თურქეთი 10.7 პროცენტით, ხოლო მესამეზე - მალტა 10.3 პროცენტით.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2025* წელს



*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

რაც შეეხება ძირითად ეკონომიკის სექტორებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2025 წელს შემდეგნაირად განაწილდა:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ძირითადი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020-2025 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

	2020	2021	2022	2023	2024	2025*
სულ	**596.2**	**1 264.9**	**2 224.2**	**1 928.5**	**1 569.3**	**1 688.7**
მათ შორის:						
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	409.4	472.3	538.1	588.9	579.5	607.0
უძრავი ქონება	54.5	43.1	372.6	125.9	182.0	185.7
ტრანსპორტი	11.6	3.2	88.0	165.2	105.2	166.1
დამამუშავებელი მრეწველობა	44.9	133.8	133.9	302.4	183.6	161.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	74.3	-4.2	141.8	129.3	65.1	115.2
ენერგეტიკა	33.1	200.5	139.4	22.8	95.4	111.0
მშენებლობა	32.8	-7.9	41.4	88.7	14.6	95.7
წყალმომარაგება; ნარჩენების მართვა	-26.4	0.4	197.2	-0.4	0.4	71.9
ვაჭრობა	62.5	144.7	193.6	316.0	161.9	52.1
ხელოვნება, გართობა და დასვენება	2.5	211.0	263.1	26.4	28.0	49.7
დანარჩენი სექტორები	-102.9	68.1	115.1	163.4	153.6	72.9

*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2025 წელს 56.8 პროცენტი შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში განხორციელდა და 607.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 35.9 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება უძრავი ქონების სექტორი 185.7 მლნ. აშშ დოლარით (11.0 პროცენტი), ხოლო მესამეზე - ტრანსპორტის სექტორი 166.1 მლნ. აშშ დოლარით (9.8 პროცენტი).

ძირითადი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2025 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე:

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2025* წელს



*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

საქართველოს საგარეო ვაჭრობა

2025 წელი

(წინასწარი)

2025 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 25 820.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 10.1 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 7 291.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (გაიზარდა 11.2 პროცენტით), ხოლო იმპორტი 18 529.7 მლნ. აშშ დოლარს (გაიზარდა 9.7 პროცენტით). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2025 წელს 11 238.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.5 პროცენტია.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება, 2022-2025 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2022-2025 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში.

ქვეყნების ჯგუფების წილი ექსპორტში 2025* წელს



ქვეყნების ჯგუფების წილი იმპორტში 2025* წელს



*წინასწარი მონაცემები.

შენიშვნა: ევროკავშირი მოიცავს 27 ქვეყანას.

2025 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 78.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ყირგიზეთი (1 498.8 მლნ. აშშ დოლარი), ყაზახეთი (910.0 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (749.3 მლნ. აშშ დოლარი).

დანართი 4

ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა 2024-2025 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში 2025* წელს



*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

2025 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 70.5 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (2 775.0 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (2 723.7 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 985.4 მლნ. აშშ დოლარი).

ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა 2024-2025 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი მთლიან იმპორტში 2025* წელს



*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

2025 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67.8 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (3 107.9 მლნ. აშშ დოლარი), აშშ (2 843.8 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (2 688.5 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი

	ქვეყნების რაოდენობა	საგარეო სავაჭრო ბალანსი მლნ. აშშ დოლარი
უარყოფითი სავაჭრო ბალანსი		
2024	103	13 173.3
2025*	95	14 385.0
დადებითი სავაჭრო ბალანსი		
2024	50	2 843.2
2025*	57	3 146.5
სულ		
2024	153	-10 330.1
2025*	152	-11 238.5

*წინასწარი მონაცემები.

დანართი 4

სამუშაო ძალის მაჩვენებლები

(დასაქმება და უმუშევრობა)

2025 წლის IV კვარტალი

2025 წლის IV კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 13.3 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2021-2025 წლებში, კვარტალების მიხედვით.

უმუშევრობის დონე საქართველოში

(%)



2025 წლის IV კვარტალში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (სამუშაო ძალის წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 54.4 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დასაქმების დონე არ შეცვლილა და 47.1 პროცენტი შეადგინა. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე შემცირებულია ქალაქის ტიპის დასახლებებში 1.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 0.3 პროცენტული პუნქტით. დასაქმების დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 2.0 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 47.0 პროცენტს და 47.2 პროცენტს შეადგენს.

დანართი 4

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონისა და დასაქმების დონის მაჩვენებლები 2021-2025 წლებში, კვარტალების მიხედვით.

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე და დასაქმების დონე

(%)



დანართი 4

2025 წლის IV კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში არ შეცვლილა და 69.3 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით 2021-2025 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით

(%)



დანართი 4

2025 წლის IV კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმუშევრობის დონე საქალაქო ტიპის დასახლებებში გაზრდილია 0.8 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 3.3 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით 2021-2025 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით

(%)



დანართი 4

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2025 წლის IV კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში შემცირებულია 0.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 1.1 პროცენტული პუნქტით და შესაბამისად 10.3 პროცენტს და 15.6 პროცენტს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით 2021-2025 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით

(%)



დანართი 4

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებთან შედარებით მაღალია კაცებში. 2025 წლის IV კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში 44.5 პროცენტს, ხოლო კაცებში 65.5 პროცენტს შეადგენს. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალებში შემცირებულია 0.6 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 0.8 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით 2021-2025 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე სქესის მიხედვით

(%)



დანართი 4

2025 წლის IV კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დასაქმების დონე ქალებში შემცირებულია 0.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში არ შეცვლილა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე სქესის მიხედვით 2021-2025 წლებში, კვარტალურ ჭრილში.

დასაქმების დონე სქესის მიხედვით

(%)

დანართი 4

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2025 წლის IV კვარტალი)

2025 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 12.8 პროცენტით გაიზარდა და 70.0 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2025 წლის IV კვარტალში მისი მოცულობა 27.2 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 15.5 პროცენტით მეტია.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა კვარტლების მიხედვით



დანართი 4

2025 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის 67.4 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 14.7 პროცენტი — საშუალოზე, ხოლო 17.9 პროცენტი კი — მცირე ბიზნესზე.

განსხვავებული განაწილება იყო პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა პროდუქციის გამოშვების 43.6 პროცენტი, საშუალოზე — 24.9 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე — 31.5 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2025 წლის IV კვარტალი



2025 წლის IV კვარტალში, საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 35.6 მილიარდი ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.2 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა 20.2 მილიარდი ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.0 პროცენტით მეტი) შეადგინა.

2025 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 839.2 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 3.4 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 43.3 პროცენტი ქალი იყო, ხოლო 56.7 პროცენტი — კაცი.

დანართი 4

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 41.4 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 19.4 პროცენტი — საშუალოზე, ხოლო 39.2 პროცენტი — მცირე ბიზნესზე.

საანგარიშო პერიოდში დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 782.8 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.4 პროცენტით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე 6 260.3 მილიონი ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.1 პროცენტით მეტი).

2025 წლის IV კვარტალში, ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2 608.4 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 241.3 ლარით), ხოლო მათ შორის ქალების ხელფასმა 1 998.0 ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით გაზრდილია 150.7 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი კი შემდეგნაირი იყო:

- მსხვილი ბიზნესი – 2 743.7 ლარი;
- საშუალო ბიზნესი – 3 084.9 ლარი;
- მცირე ბიზნესი – 2 152.2 ლარი.

დანართი 4

2025 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი, 35.9 პროცენტი, მოდიოდა ხელოვნება, გართობა და დასვენების დარგზე, მეორე ადგილს იკავებდა ვაჭრობა (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) 32.9 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდიოდა დამამუშავებელი მრეწველობა — 7.3 პროცენტიანი წილით, მშენებლობა — 6.4 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება — 4.5 პროცენტიანი წილით, ინფორმაცია და კომუნიკაცია — 3.3 პროცენტიანი წილით, ხოლო 9.7 პროცენტი დანარჩენ დარგებზე განაწილდა.

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2025 წლის IV კვარტალი



დანართი 4

2025 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ ხუთ ადგილს დამამუშავებელი მრეწველობა (18.6 პროცენტი), ვაჭრობა (18.5 პროცენტი), მშენებლობა (18.5 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (9.3 პროცენტი) და ინფორმაცია და კომუნიკაცია (8.4 პროცენტი) იკავებდა, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში ჯამურად 26.6 პროცენტიანი წილი ეჭირა.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2025 წლის IV კვარტალი



დანართი 4

2025 წლის IV კვარტალში, დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ლიდერობდნენ ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები, შესაბამისად, 29.0, 11.1 და 8.9 პროცენტიანი წილებით. სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა მშენებლობის (8.4 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.4 პროცენტი), აგრეთვე ინფორმაციისა და კომუნიკაციის (6.5 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (5.5 პროცენტი) დარგის საწარმოებზეც.

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2025 წლის IV კვარტალი



დანართი 4

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

(დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება, 2025 წელი)[1]

დაბადება

2025 წელს, საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 37 867 ბავშვი შეადგინა, მათ შორის 19 856 ბიჭი და 18 011 გოგოა. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით შემცირებულია 4.1 პროცენტით.

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით

წელი	ორივე სქესი	ბიჭი	გოგო	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას
2024	39 483	20 755	18 728	110.8
2025	37 867	19 856	18 011	110.2

2025 წელს, დაბადებულთა ყველაზე მეტი რიცხოვნობა დაფიქსირდა ქ. თბილისში (14 334 ბავშვი), ხოლო ყველაზე მცირე – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (191 ბავშვი).

[1] მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს

დანართი 4

ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, რიგით პირველი დაბადებულის წილი გაიზარდა 35.9 პროცენტიდან 36.6 პროცენტამდე, მეორე შვილის წილი შემცირდა და შეადგინა 32.9, ხოლო მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი თითქმის უცვლელი დარჩა და შეადგინა 29.1 პროცენტი.

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დაბადების რიგითობის მიხედვით



2025 წელს, ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში, წინა წელთან შედარებით, 25 წლამდე ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების წილი 23.2 პროცენტიდან 21.9 პროცენტამდე შემცირდა, 25-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის დედების წილი გაიზარდა 69.5 პროცენტიდან 70.4 პროცენტამდე. ზრდა შეინიშნება 40 წლის და უფროსი ასაკის დედებში, მათი წილი 7.3 პროცენტიდან 7.7 პროცენტამდე გაიზარდა.

დანართი 4

გარდაცვალება [2]

2025 წელს, 2024 წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 0.8 პროცენტით მეტია და 44 319 ერთეული შეადგინა. გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა ქ. თბილისში (12 743 კაცი), ხოლო ყველაზე ნაკლები – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (585 კაცი).

2025 წლის მონაცემების მიხედვით, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტმა (1 წლამდე გარდაცვლილთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 7.6 პრომილე შეადგინა.

2025 წელს, 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილთა კოეფიციენტმა (1 000 ცოცხლად დაბადებულზე) 9.1 პრომილე შეადგინა.

[2] სტატისტიკურ სამუშაოთა 2026 წლის პროგრამის შესაბამისად, 2025 წლის გარდაცვლილთა რიცხოვნობა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით, გამოქვეყნდება მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს.

დანართი 4

ბუნებრივი მატება

2025 წელს, საქართველოში დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) და -6 452 ერთეულით განისაზღვრა.

ამასთან, უარყოფითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა ყველა რეგიონში, გარდა თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვემო ქართლის რეგიონისა.

ბუნებრივი მატება რეგიონების მიხედვით



დანართი 4

ქორწინება[3]

2025 წელს, რეგისტრირებულია 22 285 ქორწინება, რაც 2.9 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისთვის შეადგენს 30.1 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის 32.4 წელს.

რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2024	2025
საქართველო	**21 653**	**22 285**
თბილისი	6 487	6 553
აჭარის ა.რ.	2 258	2 335
გურია	597	575
იმერეთი	3 332	3 284
კახეთი	1 657	1 716
მცხეთა-მთიანეთი	405	465
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	194	209
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1 863	1 892
სამცხე-ჯავახეთი	810	859
ქვემო ქართლი	2 657	2 944
შიდა ქართლი	1 393	1 453

[3] რაოდენობა არ მოიცავს იმ ქორწინებებს, როდესაც ორივე პირი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და არ არის საქართველოში მუდმივად მცხოვრები.

ცნობილ მონაცემები ცწორი გვლაბწყვიტილებებისთვის!

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცოტნე დადიანის ქ. 30, თბილისი, 0180

INFO@GEOSTAT.GE

WWW.GEOSTAT.GE

+995 32 236 72 10